ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების შერყვნის თაობაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერარქიის საქმეებსა და მისი წარმომადგენლების გამოსვლებში

დოკუმენტი დამტკიცებულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავართა თათბირზე 2023 წლის 19 ივლისს.

ჩვენ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავრები, სულიწმიდის მიერ შეკრებილნი ერთობლივი ლოცვისა და ძმური ურთიერთობისთვის ღირსი სერგი რადონეჟელის წმინდა პატიოსან ნეშტთან მის მიერ დაარსებულ წმინდა-სამების უძველეს ლავრაში, ვაცხადებთ, რომ დუმილით გვერდს ვერ ავუვლით ამჟამად არსებულ სამწუხარო გაყოფას, რაც წარმოქმნილია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს არასწორი ქმედებებით და ახალი სწავლებებით, რომლებსაც ავრცელებენ მისი წინამძღვარი და ოფიციალური წარმომადგენლები. ჩვენს მოვალეობად მივიჩნევთ ხმა აღვიმაღლოთ ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების დასაცავად და მივმართოთ როგორც ჩვენს ღვთისმოყვარე სამწყსოს, ასევე მართლმადიდებლური სამყაროს თანამოძმე მღვდელთმთავრებს.

უკრაინაში კონსტანტინოპოლის იერარქების სქიზმატური ქმედებების უკან, რამაც მსოფლიო მართლმადიდებლური ოჯახის გაყოფა გამოიწვია, დგას ეკლესიის შესახებ სწავლებაში იმავე იერარქების ძალისხმევით ჩანერგილი სიახლეები, რომლებიც მიმართულია არსებული კანონიკური საფუძვლების განადგურებისკენ. კონსტანტინოპოლის პატრიარქის პრიმატის ახალი კონცეფცია, რომელიც მას წარმოდგენს მსოფლიო ეკლესიის მიწიერ მეთაურად, ანიჭებს მას ისეთ უფლებებსა და პრივილეგიებს, რომლებიც სცილდება ნებისმიერი სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის უფლებათა საზღვრებს და არღვევს სხვა ეკლესიების კანონიკურ უფლებებს.

უკვე 2008 წელს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა განჩინებაში – „ეკლესიის ერთობის შესახებ“, განაზოგადა კონსტანტინოპოლის ეკლესიის წარმომადგენელთა ახალი საეკლესიო კონცეფციის ძირითადი თეზისები და აღნიშნა, რომ ეს კონცეფცია აგებულია ცალკეული კანონების გაგებაზე (უპირველეს ყოვლისა, ესენია IV მსოფლიო კრების მე-9, მე-17 და 28-ე კანონები), რომლებიც არ არის გაზიარებული მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი სისავსის მიერ და გამოწვევად რჩება ზოგადმართლმადიდებლური ერთობისთვის.

აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, ა) მხოლოდ ის ადგილობრივი ეკლესია მიეკუთვნება მსოფლიო მართლმადიდებლობას, რომელიც ევქარისტიულ კავშირშია კონსტანტინოპოლის საყდართან; ბ) კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს აქვს საეკლესიო იურისდიქციის ექსკლუზიური უფლება ყველა ქვეყანაში არსებულ მართლმადიდებლურ სამრევლოებზე; გ) ამ ქვეყნებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ერთპიროვნულად წარმოადგენს ყველა ადგილობრივი ეკლესიის აზრს და ინტერესს სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე; დ) ნებისმიერი მღვდელთმთავარი ან სასულიერო პირი, რომელიც მსახურობს თავისი ადგილობრივი ეკლესიის კანონიკური ტერიტორიის საზღვრებს გარეთ, იმყოფება კონსტანტინოპოლის საეკლესიო იურისდიქციაში, თუნდაც თვითონ ამას ვერ აცნობიერებდეს და, შესაბამისად, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება ამ იურისდიქციაში მიღებული იქნეს განსატევებელი სიგელის გარეშე; ე) კონსტანტინოპოლის საპატრიარქო განსაზღვრავს ეკლესიების გეოგრაფიულ საზღვრებს, და თუ მისი აზრი არ ემთხვევა ამ საკითხზე ამა თუ იმ ეკლესიის აზრს, შეუძლია ამ ეკლესიის ტერიტორიაზე საკუთარი იურისდიქცია დააწესოს; ვ) კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ცალმხრივად ადგენს, რომელ ადგილობრივ ავტოკეფალიურ ეკლესიას შეუძლია და რომელს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს მართლმადიდებელთაშორისო ღონისძიებებში.

კრებამ აღნიშნა, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ასეთი ხედვა საკუთარი უფლებებისა და უფლებამოსილების შესახებ გადაულახავ წინააღმდეგობაში მოდის მრავალსაუკუნოვან კანონიკურ ტრადიციასთან, რომელსაც ეფუძნება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისა და სხვა ადგილობრივი ეკლესიების არსებობა. კრებამ აღიარა, რომ ყველა ხსენებული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა

შესაძლებელია მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის მსოფლიო კრებაზე, მანამდე კი მოუწოდა კონსტანტინოპოლის ეკლესიას, ჩამოთვლილი სიახლეების საყოველთაო მართლმადიდებლურ განხილვამდე, გამოიჩინოს სიფრთხილე და თავი შეიკავოს იმ ნაბიჯებისგან, რომლებმაც შეიძლება გაანადგუროს მართლმადიდებლური ერთობა. ეს განსაკუთრებით ეხება ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების კანონიკური საზღვრების გადახედვის მცდელობებს.

ამ დროისათვის კონსტანტინოპოლის პრეტენზიებს, რომლებზეც 2008 წლის მღვდელთმთავართა კრება მიუთითებდა, კიდევ ახალი პრეტენზიები დაემატა. კერძოდ, ა) კონსტანტინოპოლის პატრიარქი იჟინებს, რომ უფლება აქვს განიხილოს აპელაციები სხვა ნებისმიერ ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიაში მიღებულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე და თავად მიიღოს მასზე საბოლოო განაჩენი; ბ) კონსტანტინოპოლის პატრიარქი თავის უფლებად მიიჩნევს, ჩაერიოს ნებისმიერი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის საშინაო საქმეებში, თუ ამას საჭიროდ ჩათვლის; გ) კონსტანტინოპოლის პატრიარქი აცხადებს, რომ ის უფლებამოსილია გააუქმოს სხვა ადგილობრივ ეკლესიებში გამოტანილი კანონიკური აკრძალვები და „აღადგინოს ხარისხში“ ის პირები, რომლებსაც ჩამოერთვათ საეპისკოპოსო ღირსება სქიზმაში გასვლის გამო; დ) უფრო მეტიც, კონსტანტინოპოლის პატრიარქს თავისი გადაწყვეტილებით შეუძლია წოდებაში „აღადგინოს“ პირები, რომლებსაც კანონიკური საეპისკოპოსო ქიროტონია სახილველადაც არ ჰქონიათ მიღებული (მაგალითად, ხარისხიდან განკვეთილი ეპისკოპოსისა და ყოფილი დიაკონის, თვითმარქვია ეპისკოპოსის მიერ ხელთდასხმულნი); ე) კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიაჩნია, რომ უფლება აქვს თავის კანონიკურ იურისდიქციაში მიიღოს ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესიის ნებისმიერი ეპარქიის სასულიერო პირები განსატევებელი სიგელის გარეშე; ვ) კონსტანტინოპოლის პატრიარქი იკუთვნებს საყოველთაო მართლმადიდებლური კრებების მოწვევისა და სხვა მნიშვნელოვანი ზოგადმართლმადიდებლური ღონისძიებების ჩატარების ინიციატივის ექსკლუზიურ უფლებას; ზ) დაბოლოს, მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა და დიდი კრების მომზადების დროს მიღწეული მართლმადიდებელთაშორისი შეთანხმებების საწინააღმდეგოდ, რომლებიც გულისხმობდა, რომ ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ ყველა საყოველთაოდ აღიარებული ადგილობრივი ეკლესიის თანხმობით, კონსტანტინოპოლის პატრიარქი აცხადებს თავის ერთპიროვნულ უფლებას, გამოაცხადოს ახალი ადგილობრივი ეკლესიების ავტოკეფალიურობა, მათ შორის, რომლებიც არ შედიან კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქციაში, სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებისა და კრებების თანხმობის გარეშე. ამასთან, თვით ავტოკეფალიის ცნება ისეა განმარტებული, რომ ფაქტიურად ავტოკეფალიური ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარება.

მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიიდან ჩამოთვლილი გადახრების თეორიულიდან პრაქტიკულ სიბრტყეზე გადაყვანამ მსოფლიო მართლმადიდებლობა ღრმა კრიზისამდე მიიყვანა. ამის უშუალო მიზეზი გახდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უკრაინაში შეჭრა. ეს ანტიკანონიკური და დანაშაულებრივი ქმედება, რომელზეც კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსს პირადი პასუხისმგებლობა ეკისრება, სათანადოდ შეფასდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2018 წლის 14 სექტემბრის და 15 ოქტომბრის, 2019 წლის 26 თებერვლის და 2018 წლის 28 დეკემბრის (ჟურნალი № 98) და 2019 წლის 4 აპრილის (ჟურნალი № 21) განხადებებში.

პატრიარქ ბართლომეოსის ვიზიტმა კიევში, 2021 წლის 20-24 აგვისტოს, კანონიკური შეფასება მიიღო რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე 2021 წლის 23-24 სექტემბერს, რომელმაც დაადგინა: „კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის ვიზიტი კიევში თანმხლებ პირებთან ერთად მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრესა და უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიერი იერარქების მოწვევის

გარეშე, ცნობილ იქნას, კერძოდ, სარდიკიის კრების მე-3 და ანტიოქიის კრების მე-13 კანონების უხეშ დარღვევად“ (ჟურნალი № 60). პატრიარქ ბართლომეოსის ბოლო დროის ანტიკანონიკურ ვიზიტებს შორის უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, 2023 წლის ვიზიტები ლიტვაში – 20-23 მარტს და ესტონეთში – 16-20 ივნისს.

კონსტანტინოპოლის მცდელობამ, დაერწმუნებინა ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია მის მიერ განხორციელებული ქმედებების სამართლიანობაში, მოსალოდნელი შედეგები ვერ გამოიღო.

ამასობაში კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა უკვე დააანონსა ახალი ანტიკანონიკური აქტები. კერძოდ, 2023 წლის 21 მარტს, ლიტვის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ვილნიუსში გამართულ შეხვედრაზე მან განაცხადა: „დღეს ჩვენ წინაშე იხსნება ახალი პერსპექტივა, ასევე, შესაძლებლობა ერთობლივი მუშაობისა ლიტვაში მსოფლიო საპატრიარქოს საეგზარქოსოს შესაქმნელად“ **[1]**. ამრიგად, მზადდება რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე მორიგი შეჭრა.

იმის გამო, რომ კონსტანტინოპოლის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები გრძელდება, ხოლო იდეები, რომლებიც ამახინჯებენ ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლურ სწავლებას, ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია შევახსენოთ ჩვენი ეკლესიის სამწყსოს ძირითადი პრინციპები, რომლებზედაც საუკუნეების მანძილზე შენდებოდა მართლმადიდებლური ეკლესიოლოგია, და დავამოწმოთ მთელი მართლმადიდებლური სისავსის წინაშე ჩვენი ერთგულება ამ უძვრელი პრინციპებისადმი. სწორედ კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის მიერ მათი დარღვევა გახდა მსოფლიო მართლმადიდებლობაში განხეთქილების მიზეზი.

1.კონსტანტინოპოლის პატრიარქის პრეტენზიები მსოფლიო ეკლესიაში ძალაუფლების პირველობაზე

ეკლესია დედამიწაზე თავად უფალმა იესო ქრისტემ დააარსა. ეს არის ქრისტეს მორწმუნეთა კრებული, რომელში შესვლასაც ის თავად მოუწოდებს ყველას. ეკლესია არ არის ჩვეულებრივი ადამიანური საზოგადოება, მასში სულიწმიდა მყოფობს და მოქმედებს.

ეკლესია არის ღმერთკაცობრივი ორგანიზმი, ქრისტეს მისტიური სხეული, როგორც ამას პავლე მოციქული ამბობს: „კურთხეულ არს ღმერთი და მამაი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, რომელმან მაკურთხნა ჩუენ ყოვლითა კურთხევითა სულიერითა ცათა შინა ქრისტეს მიერ... და ყოველივე დაამორჩილა ქუეშე ფერხთა მისთა და იგი მოსცა მთავრობად ზეშთა ყოველთა ეკლესიასა, რომელი-იგი არს გუამი მისი, აღსავსებაი იგი, რომელმან ყოველივე ყოველსა შინა აღავსო“ (ეფეს. 1:3, 22-23). სხეულის ხატება მიუთითებს ეკლესიის ყველა წევრის ერთი თავის – უფალ იესო ქრისტეს – ქვეშ ცხოვრებას (იხ.

კოლ. 1:18).

ეკლესიის მიზანია ხალხისა და მთელი მსოფლიოს ხსნა. ხსნის მოპოვება კი მხოლოდ ქრისტეს ეკლესიაშია შესაძლებელი. მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენელის სიტყვებით, „მას უკვე აღარ შეუძლია ღმერთი მამად ჰყავდეს, ვისაც დედად ეკლესია არ ჰყავს“ **[2]**.

მრწამსი მიუთითებს ეკლესიის ოთხ არსებით თვისებაზე: ერთადერთობა, სიწმინდე, კრებსითობა (კათოლიკურობა) და მოციქულობა.

ეკლესია ერთია, რადგან ღმერთი ერთია. ეკლესია ერთადერთი და ერთიანია, რადგან მორწმუნეებს აერთიანებს სარწმუნოების, ნათლობის, სულიწმიდის ნიჭისა და უფალ იესო ქრისტესთან ევქარისტიული ზიარების ერთობით. ეკლესია განუყოფელია: „სადაც არის ქრისტე, იქ არის ეკლესიაც“ **[3]**, „სადაც არის სულიწმიდა, იქ არის ეკლესიაც“ **[4]**.

ეკლესია წმინდაა, რადგან მისი თავია წმინდა – იესო ქრისტე. ეკლესიის წევრები მის სიწმინდეს ეზიარებიან.

ეკლესია არის კრებსითი (კათოლიკე), ვინაიდან ის მთელს მსოფლიოშია გავრცელებული, ღიაა მორწმუნეთათვის, ვისაც სურს მას შეუერთდეს – განურჩევლად დროისა, ადგილისა, წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობისა. ეკლესიის კათოლიკურობა ასევე აისახება ადგილობრივ ეკლესიებს შორის თანაზიარებაში, რომლებიც ქმნიან მსოფლიო ეკლესიას. ადგილობრივი ეკლესიების ეპისკოპოსები, მიუხედავად მათი თანამდებობრივი განსხვავებისა, ერთმანეთის თანასწორნი არიან, როგორც მღვდლობის ერთსა და იმავე ხარისხში აღყვანილნი. ვინაიდან თითოეულმა ეპისკოპოსმა სულიწმიდისგან სხვა ეპისკოპოსების თანაბარი მადლი მიიღო, ამიტომ ყველა ეპისკოპოსის ღირსება თანაბარია: „პირველი ტახტის ეპისკოპოსი არ იწოდებოდეს მღვდლების ეგზარქოსად ან უმაღლეს მღვდლად“ (კართაგენის კრების 48-ე კანონი). რომელიმე ეპისკოპოსისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება საკრალური თუ საღვთისმეტყველო შინაარსით, არის კათოლიკურობის დამახინჯება.

კათოლიკურობის თვისება არ გამორიცხავს პირველობის მსახურებას. დოკუმენტში „მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია მსოფლიო ეკლესიაში პირველობის საკითხთან დაკავშირებით“, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა მიიღო 2013 წელს, აღნიშნულია, რომ „ქრისტეს წმინდა ეკლესიაში პირველობა ყველაფერში ეკუთვნის მის თავს – ჩვენს უფალსა და მაცხოვარს იესო ქრისტეს, ძე ღვთისას და ძე კაცისას“. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს *პატივის პირველობა*, რაც გამართლებულია ტრადიციულად და კანონიკურად, გაყალბებულია მისთვის *ხელისუფლების პირველობის* კუთვნილების შესახებ სწავლებით, რომელიც ეფუძნება სახელისუფლო უფლებამოსილების საეპისკოპოსო დონიდან არამართებულ გადატანას მსოფლიო ეკლესიის დონეზე, მაშინ როდესაც ეკლესიის ყოფიერებაში პირველობას სხვადასხვა დონეზე *განსხვავებული ბუნება* და *განსხვავებული წყაროები* აქვს. ეს დონეებია: ა) საეპისკოპოსო (ეპარქია), ბ) ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესია და გ) მსოფლიო ეკლესია.

ეპარქიის დონეზე პირველობა ეპისკოპოსს ეკუთვნის. ეპისკოპოსის **პირველობის წყარო,** მის ეპარქიაში, არის სამოციქულო მემკვიდრეობა, რომელიც მას ქიროტონიის გზით გადაეცემა. თავის საეკლესიო წილხვდომილობაში ეპისკოპოსი ფლობს ხელისუფლების სისავსეს – საკრალურს, ადმინისტრაციულს და სამოძღვროს.

ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიის დონეზე პირველობა ეკუთვნის იმ ეპისკოპოსს, რომელიც ადგილობრივი ეკლესიის წინამძღვრად არჩეულია ამ ეპისკოპოსთა კრების მიერ. ავტოკეფალიური ეკლესიის დონეზე **პირველობის წყაროა** პირველეპისკოპოსის არჩევა კრების (სინოდის) მიერ, რომელიც საეკლესიო ხელისუფლების სისავსეს ფლობს. ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიის წინამძღვარი პირველია თანასწორ ეპისკოპოსებს შორის, როგორც ეს ნათქვამია მოციქულთა 34-ე კანონში: „ყოველი ერის ეპისკოპოსები უნდა ცნობდნენ პირველს მათ შორის, აღიარებდნენ მას, როგორც თავს და თავიანთ ძალაუფლებაზე აღმატებული არაფერი მოიმოქმედონ მისი ნებართვის გარეშე. მათ მხოლოდ ის საქმეები აწარმოონ, რაც თავიანთ ეპარქიებსა და მათთან მიმდებარე ადგილებს ეხება. მაგრამ პირველმაც არაფერი მოიმოქმედოს სხვებთან შეუთანხმებლად, ვინაიდან, ასე აღესრულება ერთაზროვნება და განიდიდება ღმერთი სულიწმიდის მადლით“. წინამძღვრის პირველობა განისაზღვრება კრების (სინოდის) მიერ და დაბეჭდილია კრებსითად მიღებულ წესდებაში. ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიის წინამძღვარი არ ფლობს მასში ერთპიროვნულ ძალაუფლებას, არამედ მართავს მას კრებსითად – სხვა ეპისკოპოსებთან თანამსახურებით.

მსოფლიო ეკლესიის დონეზე, როგორც ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიების ერთობის დონეზე, პირველობა განისაზღვრება წმინდა დიპტიქების ტრადიციის შესაბამისად და წარმოადგენს პატივის პირველობას. მსოფლიო ეკლესიის დონეზე **პატივის პირველობის წყაროა** ეკლესიის კანონიკური გარდამოცემა, რომელიც დაფიქსირებულია წმინდა დიპტიქებში და აღიარებულია ყველა ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიის მიერ. კანონიკური წესები, რომლებსაც ეყრდნობა წმინდა დიპტიქები, ეპისკოპოსს უმაღლესი პატივით არ ანიჭებს რაიმე სახელისუფლო ძალაუფლებას ზოგადსაეკლესიო მასშტაბით **[5]**.

საუკუნეების მანძილზე ასეთ გააზრებას იცავდნენ თავად კონსტანტინოპოლის პატრიარქებიც, კერძოდ, აპროტესტებდნენ რომის პაპის პრეტენზიებს მსოფლიო იურისდიქციაზე. თუმცა, ახლა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთი წამყვანი ღვთისმეტყველი ამტკიცებს: „ანტიპაპიზმის ფენომენი, გაგებული, როგორც მსოფლიო ეკლესიაში პირველის უარყოფა... მკაცრად რომ ვთქვათ, ერეტიკულია... ის ფაქტი, რომ დღეს მართლმადიდებელი ეკლესიები უარს ამბობენ რომის პირველობის რაიმე მსგავსის აღიარებაზე, მთავარ პრობლემას ქმნის რომთან მათ დიალოგში“ **[6]**.

ამჟამად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემუშავებულია და ცხოვრებაში რეალურად ტარდება პირველობის ახალი ხედვა მსოფლიო ეკლესიის დონეზე. კონსტანტინოპოლის პატრიარქი წარმოდგენილია მასში არა როგორც „პირველი თანასწორთა შორის“, არამედ როგორც „პირველი თანასწორთა გარეშე“ **[7]**. მისი პირველობა მსოფლიო ეკლესიაში დამსგავსებულია წმინდა სამებაში მამა ღმერთის პირველობასთან **[8]**. ის, თითქოს, „ყველა ადამიანის სულიერი მამაა, მიუხედავად იმისა, ესმით მათ ეს თუ არა“ **[9]**. სხვა ადგილობრივი ეკლესიები განიმარტება, როგორც ერთი ეკლესიის წიაღში მყოფნი კონსტანტინოპოლთან ზიარების წყალობით **[10]**. კონსტანტინოპოლის პატრიარქის

განსაკუთრებული უფლებამოსილებანი განისაზღვრება, როგორც რომელიღაც აქამდე უცნობი პრივილეგიებიდან, თითქმის თავად მოციქულებისგან, მომდინარე **[11]**. მთელი მართლმადიდებლური სისავსის სახელით ლაპარაკის უფლება წარმოდგენილია, როგორც ავტომატურად გამომდინარე კონსტანტინოპოლის პატრიარქის მიერ დაკავებული თანამდებობიდან, და არა როგორც მისთვის განკუთვნილი ადგილობრივი ეკლესიების მიერ ზოგადმართლმადიდებლური კონსენსუსის ძალით **[12]**.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ამჟამინდელი წინამძღვრის ოფიციალურ გამოსვლებში ეს ადგილობრივი ეკლესია ფაქტობრივად გაიგივებულია მსოფლიო მართლმადიდებლობასთან. 2023 წლის 22 მარტს ვილნიუსში გამოსვლისას, პატრიარქმა ბართლომეოსმა განაცხადა: „მომავალშიც დარჩება თუ არა მართლმადიდებლობა თავისი წყაროსა და დამცველის, თავისი ტრადიციული და ისტორიული ცენტრის – კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს სულიერი წინამძღოლობის ქვეშ? ეს არსებითი საკითხია, რომელიც განსაზღვრავს მართლმადიდებლობის ხასიათს, იდენტურობასა და არსებობას“ **[13]**.

პატრიარქი ბართლომეოსი ამტკიცებს, რომ „მართლმადიდებლობისთვის მსოფლიო საპატრიარქო საფუარის როლს ასრულებს, რომელიც ეკლესიისა და ისტორიის „მთელ ცომს აფუებს“ (გალ. 5:9)“; კონსტანტინოპოლის საპატრიარქო „განასახიერებს მართლმადიდებლობის ნამდვილ საეკლესიო ეთოსს: „პირველითგან იყო სიტყუაი.., მის თანა ცხორებაი იყო და ცხორებაი იგი იყო ნათელ კაცთა“ (ინ. 1:1,4). მართლმადიდებლური ეკლესიის დასაბამი მსოფლიო საპატრიარქოა, „მის თანა არს ცხოვრება და ცხოვრება არს ნათელი ეკლესიათა“ **[14]**. გორტინისა და არკადიის გარდაცვლილი მიტროპოლიტის კირილეს სიტყვების ციტირებით იმის შესახებ, რომ „მართლმადიდებლობა ვერ იარსებებს მსოფლიო საპატრიარქოს გარეშე“, პატრიარქი ბართლომეოსი აცხადებს, რომ „თითოეული ჩვენგანი კიდევ უფრო მტკიცედ უნდა იყოს შეერთებული ჩვენ შორის პირველთან, რათა სვას წყალსავსე წყაროდან, რომლის სათავეც ღვთისმოსავი ერი და შეუბილწავი რწმენაა“. აცხადებენ, რომ „საქმეების ეკლესიურ და კანონიკურ წესრიგში მოყვანაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მსოფლიო საპატრიარქოს, რადგან მხოლოდ ის ფლობს კანონიკური პრივილეგიებს, ასევე იმის ვალდებულებას, რომ ეკლესიისა და მსოფლიო კრებების ლოცვა-კურთხევით შეასრულოს ეს უმაღლესი და განსაკუთრებული მოვალეობა, როგორც ეკლესიების მზრუნველმა დედამ და მშობელმა. თუკი მსოფლიო საპატრიარქო უარს იტყვის თავის ვალდებულებაზე და დატოვებს მართლმადიდებელთაშორისო სცენას, მაშინ ადგილობრივი ეკლესიები გახდებიან „ვითარცა ცხოვარნი, რომელთა არა აქუნ მწყემსი“ (მთ. 9:36), რომლებიც თავიანთ ძალებს ფლანგავენ საეკლესიო ინიციატივებში, სადაც რწმენის თავმდაბლობა შერეულია ძალაუფლების ამპარტავნებასთან“ **[15]**.

პატრიარქ ბართლომეოსის აზრით, სწავლება მართლმადიდებელი წინამძღვრების თანასწორობის შესახებ, არის მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის დამახინჯება, რისგანაც იგი აუცილებლობად მიიჩნევს გააფრთხილოს კონსტანტინოპოლის ეკლესიის ეპისკოპოსები: „მართლმადიდებელთა შორის კონსტანტინოპოლის პატრიარქის მსხვერპლად შეწირული, კენოტიკური და ყოვლად შეუცვლელი პასუხისმგებლობის აღიარების გარეშე ეკლესიოლოგია ვერანაირად ვერ იქნება ჯანსაღი და ვერანაირად ვერ იქნება შესაბამისობაში როგორც აქ, ისე სხვა ადგილებში მოღვაწე ჩვენი წინამორბედი მამების აზრებთან და ეთოსთან. შენ კი ემსახურე ნამდვილ და უცვლელ ეკლესიოლოგიას, რომელიც შორსაა იმ სამწუხარო სიმახინჯისგან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ ყველანი თანასწორნი ვართ, ხოლო პირველი, კონსტანტინოპოლელი, უბრალოდ „პატივისთვის“ არსებობს. დიახ, ჩვენ თანასწორნი ვართ, გვაქვს ერთი და იგივე საეპისკოპოსო წოდება, მაგრამ კანონებისა და მრავალსაუკუნოვანი გარდამოცემის საფუძველზე მივიღეთ საკვანძო მნიშვნელობის სხვა პრივილეგიები, თავისი ხასიათით უნიკალური, რომლებზეც უარის თქმას არცერთ შემთხვევაში არ ვაპირებთ“ [16].

პატრიარქი ბართლომეოსი ღიად აცხადებს, რომ კონსტანტინოპოლის წინამძღვრებს განსაკუთრებული უფლება აქვთ, საკუთარი ინიციატივით ჩაერიონ ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესიის საშინაო საქმეებში ნებისმიერ საკითხზე, დამოუკიდებლად შეაფასონ, გააუქმონ ან გადახედონ ავტოკეფალიური ეკლესიების წინამძღვართა საქმიანობას, თუ ისინი კონსტანტინოპოლში მიჩნეული იქნება როგორც „უკმარისი“: „ქრისტეს დიდი ეკლესია, როდესაც საქმე ეხება არა მხოლოდ დოგმატებს, წმინდა ტრადიციებს, კანონიკურ საეკლესიო დებულებებს ან ზოგად საკითხებს, რომლებიც ეკლესიის მთელს სხეულს მოიცავს, არამედ ყველა შედარებით მნიშვნელოვან, ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიისთვის საინტერესო ცალკეულ საკითხებსაც, არასოდეს დაუყოვნებია და უარყვია მზრუნველობა და მხარდაჭერა მეურვის ეგიდით, – ზოგჯერ საკუთარი ინიციატივით და მოვალეობის გრძნობით, ზოგჯერ კი დაინტერესებული მხარეების თხოვნით, და ყოველთვის შეჰქონდა თავისი ეფექტური წვლილი, როგორც არბიტრს, ღვთის წმინდა ეკლესიებს შორის წარმოშობილი დავების გადაჭრის საქმეში, მწყემსებსა და სამწყსოს შორის უთანხმოების მოგვარებაში, დამატებითი სირთულეებისგან თავის დაღწევაში და საეკლესიო საქმეების კანონიკურ გზაზე დაბრუნებაში, ადგილობრივი ეკლესიების სულიერი წინამძღოლების ზოგჯერ არასაკმარისი ქმედებების გაძლიერებაში; ის ყოველთვის ეხმარებოდა სუტტებს და ცალკეულ ეკლესიებს, რომ მხარი დაუჭირონ მართლმადიდებლობაში სუსტებს, მერყევებს და მართლმადიდებლობაში ინტრიგების მსხვერპლებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ქრისტეს დიდი ეკლესია ყოველთვის გვერდში უდგას წმინდა ეკლესიებს, როდესაც მათ კეთილდღეობას ემუქრება ნებისმიერი ზნეობრივი თუ მატერიალური საფრთხე“ **[17]**.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა რომელიმე ადგილობრივი ეკლესიის მხრიდან, წარმოდგენილია როგორც ამ უკანასკნელის მართლმადიდებლობისგან მოწყვეტა: „ვინც იმუქრება ევქარისტიული კავშირის გაწყვეტით მსოფლიო საპატრიარქოსთან, ამით ის თავის თავს ვნებს, რადგან იკვეთება მართლმადიდებელი ეკლესიის ხის ტანიდან“. **[18]**.

განიკუთვნებს რა გამორჩეულ უფლებამოსილებას მართლმადიდებელ ეკლესიაში, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მის მიერვე მოწვეული კრებების გადაწყვეტილებსაც კი უგულებელყოფს. ასე, მაგალითად, 2018 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდმა სასულიერო პირებისთვის, გარკვეული პირობების შემთხვევაში, მეორედ ქორწინების შესაძლებლობის გადაწყვეტილება მიიღო. ეს დადგენილება პირდაპირ ეწინააღმდეგება კრეტის კრებაზე მიღებულ დოკუმენტს „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი პირობები“, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ სავალდებულოდ გამოაცხადა იმ ადგილობრივი ეკლესიებისთვისაც კი, რომლებმაც უარი განაცხადეს მასში მონაწილეობაზე.

პირველობის ასეთი გაგება მსოფლიო ეკლესიაში და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ადგილი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ოჯახში, რადიკალურად ეწინააღმდეგება მართლმადიდებლურ საეკლესიო ტრადიციას და კატეგორიულად უარყოფილია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, რომელიც საეკლესიო კანონების ასოსა და სულის ერთგული რჩება.

ეკლესიის შესახებ წმინდა მამებისეული ტრადიცია და მართლმადიდებლური სწავლება ადასტურებს ღვთის წმინდა ეკლესიების წინამძღვართა თანასწორობას და მათგან პირველს არ ანიჭებს რაიმე სახელისუფლო ძალაუფლებას. ამას, სხვათა შორის, მთელი ისტორიის მანძილზე ამოწმებდნენ

აღმოსავლეთის უწმინდესი პატრიარქები, მათ რიცხვში კონსტანტინეპოლის პატრიარქებიც.

კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე X კამატირი (1198-1206) პაპ ინოკენტიისადმი მიწერილ წერილში ამტკიცებდა, რომ რომის ეკლესია არ შეიძლება იყოს სხვა ეკლესიების დედა, რადგან „არსებობს ხუთი დიდი ეკლესია, რომლებსაც პატივს მიაგებენ საპატრიარქო ღირსებით, და ის [რომის ეკლესია] პირველია თანაბარი პატივის მქონე დებს შორის"; „ამ დიდ საყდრებთან მიმართებით, ვფიქრობთ, რომ რომის ეკლესია პირველია რიგითობით და მას პატივი მიეგება მხოლოდ ამ ღირსების ძალით, – არის რა პირველი სხვა ეკლესიებთან მიმართებით, როგორც თანაბარი პატივისა და ერთი მამის დები, ერთი ზეციერი მამისგან შობილნი, „რომლისაგან ყოველნი ნათესავნი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სახელ-დებულ არიან" (ეფ. 3:15), ხოლო ის რომ, იგი მასწავლებელი და დედაა სხვების [ეკლესიების], ჩვენთვის აქამდე არავის უსწავლებია" **[19]**.

ალექსანდრიის პატრიარქ მიტროფანე კრიტოპულოსის 1623 წლის სარწმუნოების აღსაარება, რომელსაც ხელს აწერენ ასევე პატრიარქები კონსტანტინოპოლელი იერემია III, ანტიოქიელი ათანასე V, იერუსალიმელი ქრიზანთოსი და კონსტანტინოპოლის ეკლესიის რამდენიმე ეპისკოპოსი, ადგენს: „ოთხ პატრიარქს შორის არსებობს თანასწორობა, ჭეშმარიტად შესაფერისი ქრისტიანი მწყემსებისთვის. არცერთი მათგანი არ აყენებს თავს სხვებზე მაღლა და არცერთი მათგანი არ მიიჩნევს თავს იმის ღირსად, რომ იწოდებოდეს კათოლიკე ეკლესიის თავად... ასეთი თავი კათოლიკე ეკლესიისაა არის უფალი იესო ქრისტე, რომელიც არის ყველასი თავი, რომლისგანაც მთელი სხეული შედგება (შდრ. ეფ. 4:15-16)... და რაკი ეს იციან, კათოლიკე ეკლესიის ოთხ უწმინდესსა და უნეტარეს პატრიარქს, მოციქულთა მემკვიდრეებსა და ჭეშმარიტების დამცველთ, არ სურთ საერთოდ ვინმეს თავი უწოდონ – კმაყოფილდებიან განღმრთობილი და ყოვლისშემძლე თავად წოდებულით, რომელი მჯდომარე არს მარჯვენით მამისა და ყველას ზედამხედველობს. ერთმანეთს კი ყველაფერში თანაბარი პატივით ეპყრობიან. კათედრის გარდა მათ შორის სხვა არანაირი განსხვავება არ არსებობს. თავმჯდომარეობს კონსტანტინოპოლის კათედრა, მის გვერდით არის ალექსანდრიის, შემდეგ ანტიოქიის, მასთან ახლოს იერუსალიმის" **[20]**.

უარყო რა რომის პაპის მიწვევა ვატიკანის I კრებაზე, კონსტანტინოპოლის პატრიარქი გრიგოლ VI 1868 წელს წერდა: „ჩვენ... არ შეგვიძლია მივიღოთ, რომ მთელს ქრისტეს ეკლესიაში არის მავანი ეპისკოპოსი წინამძღვარი და თავი, სხვა და სხვანაირი, გარდა უფლისა, რომ არის მავანი პატრიარქი... ამბიონიდან მოლაპარაკე და მსოფლიო კრებებზე აღმატებული... ან რომ მოციქულები არ იყვნენ თანასწორნი; ეს იქნებოდა სულიწმიდის შეურაცხყოფა, რომელმაც თანაბრად გაანათლა ყველა, ან რომ ამა თუ იმ პატრიარქს ან პაპს საყდრის უპირატესობა ჰქონდეს არა კრებისგან, არა ადამიანებისგან, არამედ როგორც თქვენ ამბობთ, საღმრთო უფლებით" **[21]**.

1894 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქი ანთიმ VII რომის პაპ ლეონ XIII-ისადმი მიწერილ წერილში ასევე ხაზს უსვამდა ადგილობრივი ეკლესიების წინამძღვართა თანასწორობასაც: „ღვთაებრივი მამები, მიაგებდნენ რა პატივს რომის ეპისკოპოსს როგორც მხოლოდ იმპერიის სამეფო ქალაქის ეპისკოპოსს, მიანიჭეს მას თავმჯდომარეობის საპატიო პრივილეგია და აღიქვამდნენ მას, როგორც პირველს სხვა ეპისკოპოსებს შორის, ანუ პირველს თანასწორთა შორის, როგორი პრივილეგიაც მიანიჭეს შემდგომში ქალაქ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსსაც, როდესაც ეს ქალაქი გამეფდა რომის იმპერიაში... ცალკეულად ყოველი ავტოკეფალიური ეკლესია აღმოსავლეთსა და დასავლეთში იყო სრულიად დამოუკიდებელი და თვითმმართველი შვიდი მსოფლიო კრების პერიოდში... ხოლო რომის ეპისკოპოსს არ

ჰქონდა უფლება ჩარეულიყო, რადგან თავადაც ექვემდებარებოდა კრებების დადგენილებებს“ **[22]**.

ეკლესიის ისტორიამ არცთუ ცოტა შემთხვევა იცის, როცა კონსტანტინოპოლის მღვდელთმთავარი მწვალებლობაში ან განხეთქილებაში აღმოჩენილა. კერძოდ, კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ევსები იყო არიანელი, ხოლო მაკედონიოსი – სულთმბრძოლი. კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი ნესტორი იყო ერესიარქი, რისთვისაც ის დაამხეს და ეკლესიიდან განკვეთეს III მსოფლიო კრებაზე. კონსტანტინოპოლის პატრიარქები სერგი I, პიროსი, პავლე II, პეტრე – მონოთელიტები იყვნენ, ხოლო პატრიარქები ანასტასი, კონსტანტინე II, ნიკიტა I, თეოდოტე კასიტერა, ანტონი I კასიმატა, იოანე VII გრამატიკოსი – ხატმბრძოლნი. პატრიარქები მიტროფანე II და გრიგოლ III მამა რომთან უნიაში იმყოფებოდნენ.

მართლმადიდებელი ეკლესიისადმი მიკუთვნება არა კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ზიარების არსებობით ან არარსებობით განისაზღვრება, არამედ დოგმატური და კანონიკური გარდამოცემის მტკიცე მიმდევრობით. იმ შემთხვევებში, როდესაც თავად კონსტანტინოპოლის პატრიარქი განიდრიკება ერესში ან განხეთქილებაში, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ისტორიაში, მაშინვე აღმოჩნდება ის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობის გარეთ, და არა ისინი, ვინც ჭეშმარიტების დაცვისა და კანონების მიმდევრობის გამო წყვეტენ მასთან საეკლესიო ზიარებას. მაგალითად, როდესაც კონსტანტინოპოლის პატრიარქი უნიაში გადავიდა, სხვა ადგილობრივი ეკლესიები განაგრძობდნენ მართლმადიდებლური სარწმუნოების მტკიცედ დაცვას, და მათში მადლის სისავსე არ მოკლებულა იმის გამო, რომ დროებით აღმოჩნდნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქთან ზიარების გარეშე.

მართლმადიდებელ ეკლესიაში არ შეიძლება იყოს წინამძღვარი, რომელსაც სხვა წინამძღვრებთან შედარებით განსაკუთრებული პრივილეგიები აქვს. მსოფლიო ეკლესიის მეთაური არის უფალი იესო ქრისტე („იგი არს თავი გუამისა მის ეკლესიისაი“ – კოლ. 1:18), და არა მსოფლიო პატრიარქი **[23]**. დაუშვებელია ერთი ადგილობრივი ეკლესიის ჩარევა მეორის ეკლესიის საქმეებში. კონსტანტინოპოლის პატრიარქის პირველობა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრებს შორის, არის პატივის და არა ხელისუფლების პირველობა. ის არ ანიჭებს მას რაიმე განსაკუთრებულ პრივილეგიებს, გარდა იმ პრივილეგიებისა, რომელთა მიკუთვნებაც მისთვის შესაძლებელია ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების კონსენსუსის საფუძველზე, როგორც ეს იყო მართლმადიდებრლი ეკლესიის წმინდა და დიდი კრების მომზადების პერიოდში, როდესაც ეკლესიების შეთანხმებით პროცესის კოორდინატორის ფუნქციები კონსტანტინოპოლის პატრიარქს დაევალა.

ამჟამად კონსტანტინოპოლის პატრიარქის სქიზმასთან მიერთების გამო, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის შეუძლებელი გახდა მისთვის ამ საპატიო პირველობის აღიარება. როგორც წმინდა სინოდმა აღნიშნა 2018 წლის 15 ოქტომბრის განცხადებაში, ზიარებაში შესვლა განხეთქილებაში განდრეკილებთან და მით უმეტეს ეკლესიიდან განკვეთილებთან, იგივეა, რაც განხეთქილებაში გასვლა და სასტიკად დაგმობილია წმინდა ეკლესიის კანონებით: „თუ რომელიმე ეპისკოპოსი, მღვდელი, დიაკონი ან სხვა ვინმე კლირიკოსი აღმოჩნდება ზიარებისგან განყენებულთა თანამოზიარე, მაშინ, დაე, თვითონაც დარჩეს საეკლესიო ერთობის გარეთ, როგორც საეკლესიო წესრიგში არეულობის შემომტანი“ (ანტიოქიის კრების მე-2 კანონი; შდრ. მოციქულთა კანონები – მე-10 და მე-11).

2021 წლის 23-24 სექტემბრის დადგენილებაში, წმინდა სინოდმა აღნიშნა, რომ „უკრაინაში

განხეთქილების მხარდაჭერით პატრიარქმა ბართლომეოსმა დაკარგა მილიონობით მორწმუნის ნდობა“ და ხაზი გაუსვა, რომ „იმ პირობებში, როდესაც მსოფლიოს მართლმადიდებელ მორწმუნეთა უმრავლესობა არ არის მასთან საეკლესიო ზიარებაში, მას აღარ აქვს უფლება ილაპარაკოს მთელი მსოფლიო მართლმადიდებლობის სახელით და წარმოაჩინოს თავი მის ლიდერად“ **[24]**.

2. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზიები მსოფლიო ეკლესიაში უმაღლესი სააპელაციო ინსტანციის როლზე

მართლმადიდებლურ ეკლესიაში არსებული კანონიკური წესრიგის უხეში დარღვევაა, როდესაც ცხადდება პრეტენზიები „კონსტანტინოპოლის პატრიარქის კანონიკურ პრივილეგიებზე, მიიღოს ყველა ავტოკეფალიური ეკლესიის ეპისკოპოსებისა და სასულიერო პირების აპელაციები“ **[25]**. ამ პრეტენზიას კონსტანტინოპოლი IV მსოფლიო კრების მე-9 კანონზე აფუძნებს **[26]**, რომელიც განაწესებს, რომ „სამთავროს მიტროპოლიტის“ წინააღმდეგ სარჩელით ეპისკოპოსმა ან კლირიკოსმა უნდა მიმართოს „ან დიდი სამთავროს ეგზარქოსს, ან კონსტანტინოპოლის სამეუფეო საყდარს“.

თუმცა ეს წესი არ ვრცელდება ყველა ადგილობრივ ეკლესიაზე, არამედ კონსტანტინოპოლის ადგილობრივ ეკლესიაზე და მოქმედებს მხოლოდ მის ფარგლებში. ამას ამბობს კანონების ავტორიტეტული ბიზანტიელი განმმარტებელი იოანე ზონარა, რომელიც მკაფიოდ აღნიშნავს, რომ „კონსტანტინოპოლის პატრიარქი არ არის დადგინებული ყველა მიტროპოლიტის მსაჯულად გამონაკლისის გარეშე, არამედ მხოლოდ მის ქვეშევრდომებზე. რადგან მას არ შეუძლია თავის სასამართლოს დაუქვემდებაროს სირიის, ან პალესტინისა და ფინიკიის, ან ეგვიპტის მიტროპოლიტები მათი ნების საწინააღმდეგოდ. სირიის მიტროპოლიტები ექვემდებარებიან ანტიოქიის პატრიარქის სასამართლოს, პალესტინელები კი – იერუსალიმის პატრიარქისას, ხოლო ეგვიპტელები ალექსანდრიის პატრიარქმა უნდა გაასამართლოს, ანუ ვისგანაც იღებენ ხელთდასხმას და ვისაც უშუალოდ ექვემდებარებიან“ **[27]**.

ღირსი ნიკოდიმოს მთაწმინდელი თავის „პიდალიონში“, რომელიც კონსტანტინოპოლის ეკლესიის საეკლესიო კანონიკური სამართლის ავტორიტეტული წყაროა, ასევე აღნიშნავს, რომ „კონსტანტინოპოლის წინამძღვარს არ აქვს უფლება იმოქმედოს სხვა პატრიარქების დიოცეზებსა და სამთავროებში, და ამ კანონს არ მიუცია მისთვის უფლება, მიეღო აპელაციები ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით მსოფლიო ეკლესიაში“. ჩამოთვლის რა მთელ რიგ არგუმენტებს ამ განმარტების სასარგებლოდ, ღირსი ნიკოდიმოსი ასკვნის: „ამჟამად... კონსტანტინოპოლის წინამძღვარი არის პირველი, ერთადერთი და საბოლოო მსაჯული მასზედ დაქვემდებარებული მიტროპოლიტებისა, მაგრამ არა იმათი, ვინც დანარჩენ პატრიარქებს ექვემდებარებიან“ **[28]**.

სხვადასხვა ეპოქაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც სხვა ადგილობრივი ეკლესიების წინამძღვრები დახმარებისთვის კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიმართვდნენ. ასეთი პრაქტიკა ასახულია, კერძოდ, „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის მრგვლივმოსავლელ ეპისტოლეში ყველა

მართლმადიდებელ ქრისტიანთა მიმართ“ (1848 წ.), სადაც ნათქვამია: „ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები უჩვეულო და გასარჩევად რთული საქმეების შემთხვევაში მიმართავენ კონსტანტინოპოლის პატრიარქს, რადგან ეს ქალაქი არის თვითმპყრობელთა დედაქალაქი და თანაც უპირატესობა აქვს მინიჭებული კრებების მიერ. თუ ძმური თანამოქმედებით გამოსწორდება ვინმე, ვისაც გამოსწორება სჭირდება, ძალიან კარგი, თუ არადა, მაშინ საქმე გადაეცემა რწმუნებულ მთავრობას. მაგრამ ეს ძმური თანადგომა ქრისტიანული რწმენით, არ ხდება ღვთის ეკლესიების დამონების ხარჯზე“ **[29]**.

ჯერ ერთი, აქ საუბარია კონკრეტულად ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის ადგილობრივ ეკლესიებზე, და არა ზოგადად ოდესმე და ახლა არსებულ ყველა ეკლესიაზე. მეორეც, საუბარია „უჩვეულო და გასარჩევად რთულ“ საქმეებზე, რომლებიც განსახილველად გადაეცემა კონსტანტინოპოლის პატრიარქს მისი შეხედულებისაებრ გადასწყვეტად ამ ეკლესიების წინამძღვრების საკუთარი ინიციატივით, როცა ისინი თავად ვერ წყვეტენ მოცემულ საკითხებს. მესამეც, ტექსტში ნათლად არის ნათქვამი, რომ კონსტანტინოპოლის მონაწილეობამ ამგვარი საკითხების გადაჭრაში არ უნდა დააზარალოს ადგილობრივი ეკლესიების თავისუფლება. მეოთხეც, ტექსტში არსადაა ნათქვამი, რომ ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის ცალკეულ ეპისკოპოსს ან სასულიერო პირს, თავისი ეკლესიის წინამძღვრის ან უმაღლესი საეკლესიო ხელისუფლების გვერდის ავლით, შეეძლო აპელაციით მიემართა კონსტანტინოპოლის პატრიარქისთვის. რთული და დახლართული საქმეებით კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი მიმართვის პრაქტიკა განპირობებულია იმით, რომ „ეს ქალაქი არის თვითმპყრობელთა დედაქალაქი“, რომელიც, როგორც კარგადაა ცნობილია, დღეს უკვე ასეთი აღარ არის. აშკარაა, რომ კონსტანტინოპოლის კათედრის შესაბამისი უფლებამოსილებანი არ შეიძლება გასცდენოდა აღნიშნული თვითმპყრობლების ხელმწიფების ქვეშ არსებული ტერიტორიების ფარგლებს: 1848 წელს ასეთი თვითმპყრობელი იყო სულთანი და, შესაბამისად, ამ ადგილას საუბარი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ოსმალეთის იმპერიის საზღვრებში მდებარე ადგილობრივი ეკლესიების შესახებ.

უახლეს ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც საკუთარი ინიციატივით ამა თუ იმ ადგილობრივმა ეკლესიამ, თავისი წინამძღვრისა და სინოდის წარმომადგენლობით, დახმარებისთვის მიმართა კონსტანტინოპოლს, როდესაც დამოუკიდებლად ვერ გადაჭრა წარმოქმნილი პრობლემა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი ასეთ შემთხვევებში მოქმედებდა არა როგორც უმაღლესი სააპელაციო ინსტანცია, არამედ როგორც სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მხრიდან მოწყლული ეკლესიისთვის დახმარების გაწევის კოორდინატორი.

ასეთი ზოგადმართლმადიდებლური ქმედების მაგალითი, რომელიც განხორციელდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კოორდინატორის როლით, შეიძლება ჩაითვალოს ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების განკურნების ერთ-ერთი ეტაპი. 1998 წელს, ბულგარეთის პატრიარქ მაქსიმეს თხოვნით, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი უძღვებოდა სოფიაში შეკრებილ წმინდა დიდ და გაფართოებულ კრებას, რომლის მუშაობაშიც – 30 სექტ.-1 ოქტ. 1998 წ. – მონაწილეობდნენ ცამეტი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრები და წარმომადგენლები. კრებამ შეიწყნარა განხეთქილებაში მყოფი რიგი ეპისკოპოსების სინანული **[30]**, და მათთან ერთად ასევე სასულიერო პირები, მონოზვნები და ერისკაცები, და შეუერთა ისინი ბულგარეთის კანონიკურ მართლმადიდებელ ეკლესიას **[31]**. მრავალი წლის შემდეგ, პატრიარქმა ბართლომეოსმა გამოთქვა პრეტენზია „უკრაინული განხეთქილების განკურნებაზე“, მაგრამ მოიქცა სრულიად განსხვავებულად, ვიდრე ბულგარეთის ეკლესიაში წარმოქმნილი განხეთქილების კურნების დროს. თუკი იმ შემთხვევაში კონსტანტინოპოლს ბულგარეთის ეკლესიის ხელმძღვანელობამ მიმართა, ამ შემთხვევაში მისთვის პრობლემის გადასაჭრელად არ მიუმართავს არც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქიას და არც თვითმმართველი

უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიის იერარქიას. პატრიარქ ბართლომეოსს მიმართა უკრაინის სახელმწიფოს საერო ხელისუფლებამ და სქიზმატების ორმა ჯგუფმა უკრაინის კანონიკური მართლმადიდებელი ეკლესიის გვერდის ავლით. ამდენად, კონსტანტინოპოლის გადაწყვეტილება ეკლესიიდან განკვეთილი კიევის ყოფილი მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოს „ხარისხში აღდგენის“ შესახებ, მიღებულ იქნა საეკლესიო კანონების უხეში დარღვევით.

აუცილებელია, გავიხსენოთ, რომ 1992 წლის 26 აგვისტოს, კიევის მიტროპოლიტ ფილარეტის განკვეთის თაობაზე ცნობის საპასუხოდ, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა ბართლომეოსმა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი II-ს მისწერა: „ჩვენი ქრისტეს წმინდა დიდი ეკლესია აღიარებს რა თქვენი უწმინდესი რუსეთის ეკლესიის ექსკლუზიური კომპეტენციის სისავსეს ამ საკითხთან დაკავშირებით, იწყნარებს [თქვენი] სინოდის გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნულის შესახებ“. პატრიარქ ბართლომეოსის 1997 წლის 7 აპრილის პასუხში დენისენკოს ანათემირების შეტყობინებაზე, ნათქვამია: „აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ, ჩვენ ვაცნობეთ მის შესახებ ჩვენი მსოფლიო საყდრის იერარქიას და ვთხოვეთ, ხსენებულ პირებთან ამიერიდან არანაირი საეკლესიო ზიარება არ იქონიონ“. ამრიგად, მაშინაც კი, თუკი კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ჰქონდა უფლება მიეღო სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების აპელაციები, ამ შემთხვევაში კონსტანტინოპოლის პატრიარქს, კანონების თანახმად **[32]**, არ შეეძლო ყოფილი მიტროპოლიტ ფილარეტ დენისენკოს აპელაცია განეხილა, რაკი უკვე მანამდე აღიარა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სრული და გამორჩეული კომპეტენცია ამ საქმეში და გამოხატა თანხმობა ეპისკოპოსთა კრების გადაწყვეტილებასთან მისი გადასინჯვის შესახებ ყოველგვარი წინადადებების გარეშე. თუმცა, კიევის ყოფილი მიტროპოლიტ ფილარეტის მხრიდან ნებისმიერი აპელაცია აშკარად უსუსური იყო, რადგან მსჯავრდებულს არ შეუწყვეტია ღვთისმსახურებებისა და ხელთდასხმების აღხრულება, რითაც, კანონების თანახმად **[33]** დაკარგა თავისი საქმის გადახედვის უფლება.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ცალმხრივად განხორციელებული სასამართლო პროცესის ან საქმის არსებითად განხილვის გარეშე, ყოფილი მიტროპოლიტის ფილარეტ დენისენკოს „წოდებაში აღდგენა“ უმნიშვნელოა წმინდა კანონების – კერძოდ, ანტიოქიის კრების მე-15, კართაგენის კრების 105-ე (118) და პაპ კელესტინეს მიმართ კართაგენის კრების კანონიკური ეპისტოლის დარღვევებთან შედარებით [34].

2018 წლის ოქტომბერში კონსტანტინოპოლში განხორციელებულ ქმედებებს ფორმითაც კი არ შეიძლება სააპელაციო სასამართლო ეწოდოს: ფილარეტ დენისენკოსა და მაკარი მალეტიჩთან დაკავშირებით მიღებული საეკლესიო სასამართლო გადაწყვეტილებები არათუ არ იქნა შესწავლილი, არამედ ამ პირთა ბიოგრაფიების ელემენტარული გაცნობაც არ მომხდარა. პატრიარქი ბართლომეოსი მის მიერ მიღებული აპელაციების შესახებ წერდა „ოდესღაც კიეველი ბატონი ფილარეტისგან, ასევე... ოდესღაც ლვოველი ბატონი მაკარისგან“ **[35]**, თუმცა განხეთქილებაში გასვლის დროისთვის ნიკოლოზ მალეტიჩი ცოლიანი დეკანოზი იყო.

თავისი მოჩვენებითი უფლებების სფეროს გაფართოებისა და ახალი პრეცედენტების შექმნის მიზნით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდმა 2023 წლის 17 თებერვალს „გაუქმა“ ვილნის ეპარქიის საეკლესიო სასამართლოს სათანადოდ დამტკიცებული გადაწყვეტილებები სამღვდელო ხარისხის ჩამორთმევის შესახებ ხუთი სასულიერო პირისთვის მათ მიერ ჩადენილი კანონიკური დანაშაულის გამო და, პატრიარქ ბართლომეოს რეკომენდაციით, „აღადგინა“ ისინი ყოფილ საეკლესიო

ხარისხებში. ამასთან, მიუხედავად მტკიცებისა, რომ მოხდა „განსახილველი საქმეების საფუძვლიანი შესწავლა“, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდს არ გააჩნდა სასამართლო საქმეების მასალები და ეყრდნობოდა მხოლოდ აღნიშნული სასულიერო პირების პირად განცხადებებს, რაც ცალმხრივად ასახავდა მათ მოსაზრებებსა და ინტერესებს **[36]**. 2023 წლის 27 ივნისს, ანალოგიურად, სასამართლო მასალების შესწავლის გარეშე, პირადი განცხადების საფუძველზე, მოსკოვის ეპარქიის სასულიერო პირს მღვდელმსახურება „აღუდგინეს“, თუმცა ეპარქიის საეკლესიო სასამართლოს მიერ მისთვის წოდების ჩამორთმევის პროცესი დასრულებული არც ყოფილა (იმ დროისათვის, როდესაც კონსტანტინოპოლში საკითხი იხილებოდა, განაჩენი არ იყო დამტკიცებული მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის მიერ) **[37]**.

გააფართოვა რა თავისი კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდმა 2023 წლის 25-26 აპრილს განიხილა ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის ორი კლირიკოსის მიმართვა, რომლებიც დასჯილნი იყვნენ თავიანთი ადგილობრივი ეკლესიის საეკლესიო სასამართლოს მიერ კანონიკური დანაშაულებისთვის.

იქმნება სახიფათო ვითარება, როდესაც ნებისმიერ სასულიერო პირს, რომელმაც დაარღვია წმინდა კანონები და ხარისხიდან განიკვეთა თავის ადგილობრივ ეკლესიაში, შეუძლია აპელაციით მიმართოს კონსტანტინოპოლს და მიიღოს „ხარისხში აღდგენა“. უფრო მეტიც, ასეთი სასულიერო პირებისგან შეიძლება შეიქმნას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სტრუქტურა სხვა ადგილობრივი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე.

3. სქიზმატიკოსთა „ხარისხში აღდგენა“, რომელთაც არ ჰქონდათ კანონიკური ხელთდასხმა მიღებული ან დაკარგული ჰქონდათ წოდება სქიზმაში გასვლის გამო

წმინდა კანონების უდავო დარღვევა და მრავალსაუკუნოვანი საეკლესიო პრაქტიკიდან გადახვევა არის კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ უკრაინელი სქიზმატების „ხარისხში აღდგენა“. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 11 ოქტომბერს, უკრაინის ორი სქიზმატური სტრუქტურის – УПЦ КП და УАПЦ – „იერარქები“ და „კლირიკოსები“ მიიღეს საეკლესიო ზიარებაში მათი დასჯის გარემოებებისა და ქიროტონიის გამოკვლევის გარეშე.

ეს გადაწყვეტილება მიიღეს იმის მიუხედავად, რომ სქიზმატიკოსებმა არ მოინანიეს და არ შეუერთდნენ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელსაც ისინი მოწყდნენ და რომლის წინააღმდეგაც დღემდე განაგრძობენ მტრობას. ამრიგად, გაითელა სქიზმატების ეკლესიაში მიღების ყველაზე მნიშვნელოვანი პირობა: მათი მონანიება და იმ ადგილობრივ ეკლესიაში დაბრუნება, საიდანაც განვარდნენ. სწორედ ამ პირობით კურნავდა წმინდა ეკლესია განხეთქილებას როგორც უძველეს დროში, ისე თანამედროვეობაში, რასაც მრავალი მაგალითი ადასტურებს.

კერძოდ, მელიტიანური განხეთქილების პრობლემის განხილვა პირველ მსოფლიო კრებაზე მოხდა ალექსანდრიის ეკლესიის უშუალო მონაწილეობით, რომლის შიგნითაც ის წარმოიშვა და რომელსაც ეს განხეთქილება აზიანებდა. ალექსანდრიის ეპისკოპოსი ალექსანდრე, როგორც კრების აქტებშია ნათქვამი, „იყო მთავარი მოღვაწე და მონაწილე ყველაფერში, რაც კრებაზე ხდებოდა“. საგულისხმოა, რომ განხეთქილებაში ხელთადასხმული ეპისკოპოსების ეკლესიაში დაბრუნება უფრო საკრალური ხელთდასხმით (μυστικωτέρᾳ χειροτονίᾳ βεβαιωθέντας) უნდა მომხდარიყო და ისინი დგინდებოდნენ ადგილებზე კანონიკური ეპისკოპოსების დაქვემდებარებაში: მათ განეწესებოდათ „საერთოდ არაფერი გაეკეთებინათ კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის ეპისკოპოსების თანხმობის გარეშე, რომლებიც ეპისკოპოს ალექსანდრეს [ალექსანდრიის ეპისკოპოსი] მმართელობაში იმყოფებოდნენ“.

ანალოგიურად მიიღო პირველმა მსოფლიო კრებამ გადაწყვეტილება ნოვატიანური განხეთქილების შესახებ. მისი მე-8 კანონის თანახმად, ნოვატიელ ეპისკოპოსებს „წერილობით უნდა ეღიარებინათ“, რომ ისინი ყველაფერში მიჰყვებოდნენ კათოლიკე ეკლესიის განჩინებებს. ამის შემდეგ, მათზე ქიროტონიის აღსრულების შემდეგ (ὥστε χειροθετουμένους αὐτούς), ისინი უერთებოდნენ ეკლესიას და ზუსტად ისე, როგორც მელიტიანელები, დამოკიდებულ მდგომარეობაში რჩებოდნენ ადგილობრივ კანონიკურ ეპისკოპოსებთან მიმართებაში.

VII საეკლესიო კრება, რომელიც ეკლესიაში ხატმბრძოლი ეპისკოპოსების მიღების საკითხს განიხილავდა, მათგან წერილობით მონანიებას ითხოვდა, რაც მათ შეასრულეს კიდეც. ამასთან, თითოეული ხატმბრძოლი ეპისკოპოსის საქმეს კრების მამები ცალ-ცალკე განიხილავდნენ, რაც გადმოცემულია კრების ოქმებში. ხოლო იმ ეპისკოპოსებს, ვინც ყველაზე მოშურნე ხატმბრძოლნი იყვნენ, როგორც, მაგალითად, ნეოკესარიის მიტროპოლიტი გრიგოლი, განსაკუთრებული გულმოდგინებით კითხავდნენ და კრების სხდომებზე რამდენჯერმე იბარებდნენ.

ეკლესიის უახლეს ისტორიაში იგივე პრინციპი იქნა გამოყენებული სოფიაში 1998 წელს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვართა და წარმომადგენელთა კრებაზე: სქიზმატიკოსი ეპისკოპოსები ზიარებაში მიიღეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ შეინანეს და მზადყოფნა გამოთქვეს, შეერთებოდნენ კანონიკურ ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

უკრაინაში სქიზმატიკოსებს არ შეუნანიათ და არ შეეერთებულან უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასთან და მის წინამძღვართან, კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტ ონოფრესთან. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის გადაწყვეტილება, ამ ადამიანების საეკლესიო ერთობაში მიღების შესახებ, მეტყველებს მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკიდან გადახვევაზე, რომელსაც ღრმა საფუძველი აქვს მართლმადიდებლურ მოძღვრებაში, რაც, თავის მხრივ, იწვევს თავად ეკლესიის ბუნებისა და მისი მოწყობის შესახებ ცნების დამახინჯებას.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ანტიკანონიკური მოქმედების სიმძიმეს კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ ყველა სქიზმატიკოსი „ეპისკოპოსი“ და რიგითი „კლირიკოსი“, გამონაკლისის გარეშე, წოდებაში „აღადგინეს“ თავიანთ რიგებში მისი სინოდის ნებელობითი გადაწყვეტილებით ისე, რომ არ გამოუკვლევიათ მათი ქიროტონიის სამოციქულო მემკვიდრეობა. არადა, ხშირ შემთხვევაში, უკრაინელი

სქიზმატიკოსების ხელთდასხმები უკიდურესი იკონომიითაც კი არ შეიძლება აღიარებული იყოს მართებულად.

ეგრეთ წოდებული „უკრაინის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის“ (УАПЦ) იერარქია დაარსებულია ტულის ეპარქიის ყოფილი დიაკონის ვიქტორ ჩეკალინისა (წოდებიდან განკვეთილია 1983 წელს) და ჟიტომირისა და ობრუჩის ყოფილი ეპისკოპოსის იოანე ბოდნარჩუკის (წოდებიდან განკვეთილია 1983 წელს) მიერ, რომლებმაც 1990 წელს „აკურთხეს“ УАПЦ-ის პირველი ეპისკოპოსები. ამასთან, ვიქტორ ჩეკალინს, რომელიც „იასნოპოლიანის ეპისკოპოს ბიკენტად“ ასაღებდა თავს, არათუ საეპისკოპოსო, არამედ სამღვდელო „კურთხევაც“ კი არასდროს და არსად მიუღია.

УАПЦ-ის მოქმედი „ეპისკოპატის“ ძირითად ნაწილს, რომელიც ახლა ე.წ. „უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის“ ნაწილია, „ქიროტონიის“ მემკვიდრეობა ამ ორი პირისგან აქვს მიღებული. კერძოდ, „გალიციის მიტროპოლიტი“ ანდრია აბრამჩუკმა, რომელიც 2021 წლის 6 იანვარს წმინდა გიორგის საკათედრო ტაძარში პატრიარქ ბართლომეოსთან თანამსახურებდა, „ხელთდასხმა“ ვ. ჩეკალინის მონაწილეობით მიიღო. „ჩეკალინისეული“ იერარქიისგან მიიღო საეპისკოპოსო „კურთხევა“ УАПЦ-ის ყოფილმა მეთაურმა მაკარი მალეტიჩმაც, რომელიც საკუთარ თავს „კიევისა და სრულიად უკრაინის მიტროპოლიტს“ უწოდებდა.

ე.წ. „კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“ შეიქმნა 1992 წლის 25 ივნისს კიევის ყოფილი მიტროპოლიტის ფილარეტ დენისენკოს УАПЦ-ში გადასვლის შემდეგ, რომელიც ორი კვირით ადრე რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ წოდებიდან განკვეთა მთელი რიგი ბრალდებებით, კიდევ უფრო ადრე კი შეჩერებული ჰქონდა მღვდელმსახურება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის 1992 წლის 27-28 მაისს გამართული ეპისკოპოსთა კრების მიერ.

შეუერთდა რა სქიზმატურ УАПЦ-ს, ყოფილი მიტროპოლიტი ფილარეტი დიდი ხნის განმავლობაში თანამსახურებდა „ჩეკალინისეული“ ხელთდასხმით დადგინებულ იერარქებთან, ანუ ვისაც არასოდეს მიუღია საეპისკოპოსო კურთხევა. მიუხედავად ყოფილი მიტროპოლიტ ფილარეტის მცდელობისა, ფარულად ხელახლა „ეკურთხებინა“ УАПЦ-ის იერარქები თავისი მიმდევრების, ყოფილი ქორეპისკოპოსის იაკობ პანჩუკისა და ლვოვის ყოფილი ეპისკოპოსის ანდრია გორაკის დახმარებით, რომლებსაც ასევე ჰქონდათ წოდება ჩამორთმეული, ამ სტრუქტურის იერარქების ნაწილმა უარი თქვა „განმეორებით ხელთდასხმაზე“. მას შემდეგ, რაც 1993 წელს უკრაინის სქიზმა ორ არაკანონიკურ სტრუქტურად დაიშალა, УАПЦ-ის „ჩეკალინისეული“ ეპისკოპოტი არაერთხელ გადადიოდა УПЦ КП-ში და უკან, – არაერთხელ მიიღო რა მონაწილეობა „ეპისკოპოსთა კურთხევებში“. ამასთან დაკავშირებით, სამოციქულო მემკვიდრეობის თუნდაც ფორმალური ნიშნების არსებობა УПЦ КП-ის „ხელთდასხმებში“, არ შეიძლება აღიარებულ იქნას სიღრმისეული გამოკვლევის გარეშე.

უკრაინული განხეთქილების ლეგალიზების გარემოებები ადასტურებს, რომ უკრაინელი სქიზმატიკოსების ქიროტონიის არანაირი შესწავლა ფანარიონში არ ჩატარებულა. ამას ამოწმებს УАПЦ-ის მეთაურის, მაკარი მალეტიჩის ზემოაღნიშნული „აღდგენა“, როგორც „ლვოვის ყოფილი მიტროპოლიტისა“, რომელსაც ეს წოდება მისთვის არავის ჩამოურთმევია და ვერც ჩამოართმევდა იმ უბრალო მიზეზით, რომ УАПЦ-ს იგი შეუერთდა დეკანოზის ხარისხში (რაც შემდგომში ჩამოართვეს), ხოლო საეპისკოპოსო

ქიროტონია და „ლვოვის ეპისკოპოსის“ წოდება მან უკვე განხეთქილებაში მიიღო. უფრო მეტიც, ყველა იმ პირის „ყოფილ წოდებაში“ ავტომატურად მიღების შედეგად, რომლებიც იმ დროს არაკანონიკურ УАПЦ-ისა და УПЦ КП-ის შემადგენლობაში შედიოდნენ, კონსტანტინოპოლმა „კორსუნის მიტროპოლიტის“ წოდებაში აღიარა პარიზში მცხოვრები მიხეილ ლიაროში **[38]**, რომელიც გახდა ე.წ. „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ „იერარქი“. იმავდროულად, ამ ადამიანის საეპისკოპოსო „კურთხევის“ მემკვიდრეობა იწყება ბერძენი ძველმესტილე სქიზმატიკოსებისგან.

კონსტანტინოპოლის პატრიარქის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებმა იმ პირთა „წოდებაში აღდგენასთან“ დაკავშირებით, რომლებსაც ეს წოდება არასდროს ჰქონიათ, სათანადო კანონიკური შეფასება ჰპოვა მთელ რიგ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში. სერბეთის უწმინდესი პატრიარქის, პორფირეს თქმით, „ეკლესია – ეს არის ეკლესია, ხოლო არაკანონიკური პარასინაგოგა ეკლესიად შეიძლება იქცეს მხოლოდ მონანიებისა და კანონიკური პროცედურის გზით, მაგრამ არა ვინმეს კალმის მოსმით“ **[39]**. „ეკლესიიდან განდგომილნი და, ამასთან, სამღვდელო ხელთდასხმას მოკლებულნი, ვერ იქნებიან ჯანსაღი საეკლესიო ორგანიზმის წარმომადგენელნი“ **[40]**, – განაცხადა პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ.

როგორც მართებულად შენიშნავს ალბანეთის უნეტარესი არქიეპისკოპოსი ანასტასი კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსადმი 2019 წლის 21 მარტით დათარიღებულ წერილში, „მელიტიანური განხეთქილების გამოსწორება და მელიტის მიერ უკანონოდ ხელთდასხმულთა იკონომიით მიღება, შემდეგ ეტაპებს შეიცავდა: 1) მონანიება; 2) კანონიერი ეპისკოპოსის მიერ ხელთდასხმა – ყველაზე ცოტა, რაც საჭიროა სამოციქულო მემკვიდრეობის დასადასტურებლად; 3) ლოცვა და 4) დაბოლოს, შერიგება. საუბარია პრინციპზე, რომელიც გამოიყენება ყველა შემთხვევაში გამონაკლისის გარეშე მართლმადიდებელ ეკლესიაში სქიზმატიკოსების დაბრუნებისას...“. შეუსაბამოა, ასევე, უკრაინული განხეთქილების შედარება იმ გაყოფასთან, რომელიც მოხდა საზღვარგარეთ მოქმედ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასა და სამშობლოში მოქმედ ეკლესიას შორის, და რომელიც 2007 წელს დაიძლია. რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის იერარქები არასდროს განუკვეთიათ წოდებიდან, როგორც მართებულად წერს აღნიშნულ წერილში ალბანეთის მთავარეპისკოპოსი უნეტარესი ანასტასი, „არ ყოფილა არც განკვეთა ეკლესიიდან, არც ანათემა, და სამოციქულო მემკვიდრეობაც ეჭვქვეშ არ დაყენებულა“, რაც, კერძოდ, დადასტურებულია რუსეთის საზღვარგარეთის ეკლესიის მღვდელთმთავრების თანამსახურების მრავალი შემთხვევით ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელთმთავრებთან, მათ შორის კონსტანტინოპოლის იერარქებთანაც.

უპრიანია, გავიხსენოთ, ასევე, ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სამდივნოს 2022 წლის 15 ნოემბრის განცხადების არგუმენტაცია, სადაც დასმულია კითხვა ПЦУ-ის ამჟამინდელი „წინამძღვრის“ ყოფილი მიტროპოლიტ ფილარეტის (დენისენკო) ხელთდასხმის კანონიერებასთან დაკავშირებით: „როდესაც ხელთდასხმული გამოყოფილია ეკლესიისგან, განკვეთილია, ანათემირებულია და გაძევებულია, ის დეაქტიური ხდება, აღარ გადასცემს არანაირ მადლს (მსგავსად იმისა, როგორც ელექტრო მოწყობილობა არ გადასცემს ენერგიას, როცა ის დენის წყაროდან გათიშულია). რა თქმა უნდა, ის, რაც არასდროს მომხდარა, ვერ გახდება აღსრულებული, მოქმედებაში მოყვანილი და კანონიერი მარტივი ადმინისტრაციული გადაწყვეტილებით. სწორედ ეს არის შეშფოთების მიზეზი ფილარეტის მიერ ეპიფანეს ხელთდასხმის კანონიერებასთან დაკავშირებით“.

აუცილებელია ვაღიაროთ, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის გადაწყვეტილებით ორი

მანამდე არსებული არაკანონიკური სტრუქტურიდან – УАПЦ და УПЦ КП – ჩამოყალიბებული ეგრეთ წოდებული „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ „იერარქებს“ არ გააჩნიათ კანონიკური ხელთდასხმა და ამიტომ არ არიან ეპისკოპოსები. კანონიკური ეკლესიის ნებისმიერი იერარქი, რომელიც მათთან ერთად მსხურებას ატარებს, ამ თანამსახურების გამო, თანახმად ეკლესიის კანონებისა (კართაგენის კრების მე-9 კან.; ანტიოქიის კრების მე-2 და მე-4 კანონები; მოციქულთა მე-11 და მე-12 კანონები), თავად უერთდება განხეთქილებას და ექვემდებარება განკვეთას. ასეთი წარმოშობის „იერარქებთან“ ჩვენ ევქარისტიული კავშირის არც უფლება და არც სურვილი გვქონდა, ამიტომ კონსტანტინოპოლის მიერ მათი აღიარების შემდეგ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა სინოდის 2018 წლის 15 ოქტომბრის სხდომაზე იძულებული გახდა დაესკვნა ევქარისტიული ერთობის შეუძლებლობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, სანამ ის არ გააუქმებს თავის ანტიკანონიკურ გადაწყვეტილებებს. წმიდა სინოდის შემდგომი გადაწყვეტილებებით **[41]** ევქარისტული კავშირის შეუძლებლობა გავრცელებულია ასევე იმ წინამძღვრებსა და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების იერარქებზე, რომლებიც აღიარებენ უკრაინული განხეთქილების ლეგიტიმაციას და კანონიკური ხელთდასხმის არმქონე პირებთან თანამსახურებაში შევლენ.

წმინდა კანონების სულისა და ასოს ერთგული რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია შემდგომშიც მკაცრად დაიცავს იმ კანონიკურ დადგენილებებს, რომლებიც კრძალავს სქიზმატიკოსებთან და თვითწმინდებთან თანამსახურებას. ამ კანონებიდან ნებისმიერი გადახრა გარდაუვლად იწვევს ეკლესიათაშორისი მშვიდობის ნგრევას და კრიზისის გაღრმავებას.

4. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზიები კლირიკოსების მიღების უფლებაზე განსატევებელი სიგელის გარეშე

კონსტანტინოპოლის წინამძღვრის კიდევ ერთი სიახლე აღმოჩნდა განცხადება თითქოსდა მის ხელთარსებულ უფლებაზე, თავის იურისდიქციაში მიიღოს ნებისმიერი ადგილობრივი ეკლესიის სასულიერო პირი მათი ეპისკოპოსებისგან გაცემული განსატევებელი სიგელის გარეშე. თებერვალში ვილნის ეპარქიის ხუთი ყოფილი სასულიერო პირის **[42]** და აპრილში ბელარუსის საეგზარქოსოს ორი სასულიერო პირის, ასევე, 2023 წლის ივნისში „სამღვდელო ხარისხში აღდგენილი“ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოსკოვის ეპარქიის სასულიერო პირის თავისი „ომოფორის ქვეშ“ შეყვანას, პატრიარქი ბართლომეოსი სწორედ კონსტანტინოპოლის საყდრის ამ „უფლებით“ ხსნის.

კლირიკოსების გადასვლა ერთი იურისდიქციიდან მეორეში იერარქიის სანქციის გარეშე, რაც განსატევებელ სიგელს გულისხმობს, კანონიკური დანაშაულია როგორც კლირიკოსის, ისე მისი მიმღები ეპისკოპოსის მხრიდან. ეს ნათლად არის ნათქვამი მთელ რიგ კანონებში **[43]**. ამ კანონების შუქზე, პატრიარქ ბართლომეოსის ქმედებები საეკლესიო წყობის კანონიკური საფუძვლების ფეხქვეშ გათელვაა.

თავისი აქტების გასამართლებლად პატრიარქი ბართლომეოსი მიუთითებს არა რომელიმე კანონს, არამედ მხოლოდ თეოდორე ბალსამონის განმარტებებს ტრულის კრების მე-17, მე-18 და VII მსოფლიო კრების მე-10 კანონებზე (რომლებიც კრძალავს სასულიერო პირების შეწყნარებას განსატევებელი სიგელის გარეშე). VII მსოფლიო კრების მე-10 კანონის კომენტარებში ბალსამონი წერს: „სხვადასხვა კანონი უკრძალავს სასულიერო პირებს, დატოვონ ეპარქიები, რომელთა დასის წევრებიც არიან, და სხვაგან გადავიდნენ. ამრიგად, მიჰყვება რა მათ, წინამდებარე კანონი ადგენს, რომ არცერთი სასულიერო პირი თავისი ეპისკოპოსის გარეშე, ანუ მისი წარმომადგენლობითი და განტევებითი სიგელის გარეშე, ან კონსტანტინოპოლის პატრიარქის გადაწყვეტილების გარეშე, არ უნდა იყოს მიღებული არსად, ანუ არ უნდა იმსახუროს არცერთ ეკლესიაში... წინამდებარე კანონის ბუკვალური აზრიდან გაითვალისწინე, რომ მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს ეძლევა უფლება, შეიწყნაროს სასულიერო პირები მათი მაკურთხებლებისგან გაცემული განსატევებელი სიგელის გარეშეც, თუკი ისინი, უკიდურეს შემთხვევაში, წარმოადგენენ საკუთარი ხელთდასხმის ან სასულიერო დასში გაწევრიანების დამადასტურებელ სიგელს. ამიტომაც, მგონია, რომ უწმინდეს პატრიარქს და მის ქარტოფილაქსს აქვს უფლება, დაუშვას უცხო სასულიერო პირის მღვდელმსახურება სამეფო ქალაქში მისი ხელთამსხმელის განსატევებელი სიგელის გარეშეც“. **[44]**

ამ განმარტებაში ბალსამონი მართლაც უშვებს გამონაკლისს საერთო წესიდან კონსტანტინოპოლის პატრიარქისთვის. ასეთი გამონაკლისი არც ამ და არც სხვა კანონების განმარტებებში, რომლებიც ეძღვნება სასულიერო პირების სხვა იურისდიქციაში გადასვლას, არ გვხვდება სხვა ავტორიტეტულ კანონისტებთან: ზონარასთან, არისტინესთან, წმინდა ნიკოდიმოსთან (მილაში). კონსტანტინოპოლის კათედრის გამოყოფისა და მისთვის განსაკუთრებული პრივილეგიის მიკუთვნების ერთადერთი გასაგები საფუძველი შეიძლება იყოს „სამეფო ქალაქის“ დედაქალაქის სტატუსი, –რომელიც ამის გამო გახდა თავიანთი იერარქებისგან უნებართვოდ წამოსული სასულიერო პირების მიზიდულობის ცენტრი, – სტატუსი, რომელიც ამ ქალაქმა დიდი ხანია დაკარგა. თუმცა, აქვე ჩნდება კითხვა, რომელ ტერიტორიულ საზღვრებს მოიაზრებდა ბალზამონი თავის მიერ ნახსენები პრივილეგიების გავრცელების არეალად? თავად განმმარტებელს ამაზე პასუხი არ აქვს.

ამ პრობლემას ნათელს ჰფენს იოანე ზონარას კომენტარები IV მსოფლიო კრების მე-9 და მე-17 კანონებზე აპელაციების შესახებ, სადაც განმარტებულია, რომ ლაპარაკია მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტებზე **[45]**. ზონარას ამ მითითების შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის უფლება, მიეღო სასულიერო პირები განსატევებელი სიგელის გარეშე, რაზეც ბალსამონი საუბრობს, თავის დროში ვრცელდებოდა მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს კლირიკოსებზე. მით უმეტეს, რომ ტრულის კრების მე-17 კანონის განმარტებაში ბალსამონი ამტკიცებს, რომ იგივე პრივილეგია ეკუთვნის კართაგენის ეპისკოპოსსაც: „გამორიცხე აქედან კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი და კართაგენის; რადგან მხოლოდ მათ შეუძლიათ, როგორც ხშირად ითქვა, მიიღონ თავისთან უცხო სასულიერო პირები მათი ხელთდამსხმელთა თანხმობის გარეშე“**[46]**. კართაგენის კრების 55 (66) კანონი მართლაც განუწესებდა კართაგენის ეპისკოპოსს, როგორც აფრიკის იმდროინდელ პრიმატს, იმის პრივილეგიას, რომ გამოთავისუფლებულ ეპარქიებში ეპისკოპოსად ეკურთხებინა აფრიკის სხვა ეპარქიებიდან გამოსული სასულიერო პირები ისე, რომ არ მოეთხოვა მათგან იმ ეპისკოპოსის სავალდებულო თანხმობა, ვისი დაქვემდებარებაშიც ის კანონიკურად იმყოფებოდა. თუმცა, აშკარად ცხადია, რომ ეს პრივილეგია არ სცილდებოდა აფრიკის საზღვრებს. ასე რომ, საკმაოდ მკაფიოდ ჩანს: ბალსამონთან საუბარია იმაზე, რომ კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსს, ანალოგიურად კართაგენის ეპისკოპოსისა, აქვს გაფართოებული იურისდიქციული უფლებები სხვა ეპისკოპოსებთან შედარებით, მაგრამ მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიის შიგნით.

ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესიაში საკანონმდებლო ძალა აქვს თავად კანონებს და არა მათ განმარტებებს, თუნდაც ავტორიტეტულებს. ხოლო იმ კანონების პირდაპირი მნიშვნელობა, რომლებსაც პატრიარქი ბართლომეოსი ახსენებს, ზუსტადაც რომ მეტყველებს უცხო სამღვდელოების მიღების აკრძალვაზე მათი ეპისკოპოსებისგან გაცემული განსატევებელი სიგელის გარეშე. შესაბამისად, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია არ ცნობს და არ აღიარებს კანონიკური ტრადიციის ასეთ ინტერპრეტაციას, რომელიც კონსტანტინოპოლის პატრიარქს მიაწერს მსოფლიო ზე-იურისდიქციულ უფლებებს და მტკიცედ დაიცავს ავტოკეფალიური ეკლესიებისა და მათი წინამძღვრების იურისდიქციული თანასწორობის პრინციპს მიუხედავად მათი ადგილებისა წმინდა დიპტიქებში. ხოლო კონსტანტინოპოლის პატრიარქის ქმედებები, – განსატევებელი სიგელის გარეშე სხვა ადგილობრივი ეკლესიის სასულიერო პირების თავის იურისდიქციაში მიღების შემთხვევები, – არის და განიხილება ჩვენ მიერ, როგორც დანაშაული, რომელიც წმინდა კანონების თანახმად, ხარისხიდან განკვეთით ისჯება.

5. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზიები ავტოკეფალიის მინიჭების ექსკლუზიურ უფლებაზე

მართლმადიდებელ ეკლესიაში ავტოკეფალიის ინსტიტუტი თანდათან ყალიბდებოდა და მისი დღევანდელი სახე მრავალსაუკუნოვანი განვითარების ნაყოფია.

იერუსალიმის, რომის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის კათედრებისთვის ავტოკეფალია არავის მიუნიჭებია: ყველა ისინი ავტოკეფალიური გახდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში ეკლესიის ისტორიული განვითარების პროცესებიდან გამომდინარე.

შემდგომში ავტოკეფალიები წარმოიშობოდა ან უქმდებოდა სხვადასხვა მიზეზით, და არ არსებობდა ავტოკეფალიის მინიჭების ან გაუქმების ერთი ზოგადი პროცედურა. ავტოკეფალიის მინიჭება შეეიძლო მსოფლიო კრებას. ასე, მაგალითად, კვიპროსის მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია მიიღო III მსოფლიო კრების გადაწყვეტილებით 431 წელს **[47]**.

ავტოკეფალია შეიძლება ებოძებინა დედა-ეკლესიასაც, რომლის იურისდიქციისგანაც გამოდიოდა ახალი დამოუკიდებელი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია. მაგალითად, სერბეთის მართლმადიდებელ ეკლესიას სამჯერ ებოძა ავტოკეფალიურობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ 1219, 1557 და 1879 წლებში, რომელმაც ასევე მიანიჭა ავტოკეფალიურობა რამდენიმე სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას, რომლებიც შემდგომში მისი იურისდიქციიდან გამოვიდნენ.

რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას ათას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს, 988 წლიდან დაწყებული,

როდესაც კიევის რუსეთი წმინდა მოციქულთასწორმა მთავარმა ვლადიმერმა მონათლა დნეპრის წყლებში. რამდენიმე საუკუნის მანძილზე რუსეთის ერთიანი მიტროპოლია – ცენტრით ჯერ კიევში, შემდეგ ვლადიმერში და ბოლოს მოსკოვში – შედიოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. 1448 წელს რუსეთის ეკლესიამ მოიპოვა ფაქტიური დამოუკიდებლობა მას შემდეგ, რაც წმინდა იონა დადგენილ იქნა მოსკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზე კონსტანტინოპოლის თანხმობის გარეშე. რუსეთის ეკლესიისთვის ეს გადაწყვეტილება იძულებითი იყო: იმ დროს კონსტანტინოპოლის პატრიარქი რომთან უნიაში იმყოფებოდა, რუსეთის ეკლესიამ კი უნია კატეგორიულად დაგმო.

რუსეთის ეკლესიის ავტოკეფალია მაშინვე არ იქნა აღიარებული კონსტანტინოპოლისა და სხვა აღმოსავლელი პატრიარქების მიერ. მაგრამ გავიდა ხანი და 1589 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქის იერემია II-ის მონაწილეობით მოსკოვში დაარსდა საპატრიარქო და წმინდა იობი აღსაყდრებულ იქნა პატრიარქის ღირსებაში. ამ აქტთან დაკავშირებით, პატრიარქმა იერემიამ და მისმა თანმხლებმა პირებმა, ასევე, რუსეთის ეკლესიის არქიეპისკოპოსებმა და არქიმანდრიტებმა ხელი მოაწერეს „დადგინების სიგელს“ („уложенная грамота“). მოსკოვის კათედრის საპატრიარქო ღირსება დადასტურდა კონსტანტინოპოლში აღმოსავლელ პატრიარქთა კრებაზე 1590 და 1593 წლებში **[48]**.

გადაწყვეტილებები, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ნაწილებისთვის ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ, არაერთხელ მიღებულა ამ ეკლესიის წმინდა სინოდის ან ამ ეკლესიის კრებების მიერ. მაგალითად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ავტოკეფალიის სტატუსი უბოძა თავის შემადგენლობაში მყოფ საბერძნეთის (1850), სერბეთის (1879), რუმინეთის (1885) და ალბანეთის (1937) ეკლესიებს.

კრებების გარდა, ისტორიულად, ავტოკეფალიურობას არა მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, არამედ სხვა ეკლესიებიც ანიჭებდა. ასე, მაგალითად, V საუკუნეში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია მიანიჭა ანტიოქიის საპატრიარქომ, ხოლო XX საუკუნეში მოსკოვის საპატრიარქომ – პოლონეთის მართლმადიდებელ ეკლესიას (1948), ჩეხოსლოვაკიის მართლმადიდებელ ეკლესიას (1951) და ამერიკის მართლმადიდებელ ეკლესიას (1970). 2022 წელს მაკედონიის მართლმადიდებელმა ეკლესიამ (ოხრიდის სამთავარეპისკოპოსო) მიიღო ავტოკეფალია სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიისგან.

კონსტანტინოპოლის უწმინდესი პატრიარქი ათენაგორა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ტახტის ადგილმონაცვლეს, კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტ პიმენს 1970 წლის 24 ივნისით დათარიღებულ წერილში წერდა: „საგანგებო კანონები, რომლებიც ზუსტად განსაზღვრავს ყველაფერს, რაც ავტოკეფალიას ეხება, საეკლესიო კანონმდებლობაში შეტანილი არ არის; მისი მინიჭება მთელი ეკლესიის კომპეტენციაში შედის და ოდნავადაც არ შეიძლება ჩაითვალოს „თითოეული ავტოკეფალიური ეკლესიის“ უფლებად; ავტოკეფალიის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება უფრო ფართო კრების კომპეტენციას მიეკუთვნება, რომელიც ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის და, ასევე, მსოფლიო კრების წარმომადგენელი იქნება“ **[49]**.

ავტოკეფალიის მინიჭების წესის, როგორც „მთელი ეკლესიის“ კრებსითი საქმის, გაგება დაედო საფუძვლად ავტოკეფალიისა და მისი მინიჭების მეთოდების შესახებ დოკუმენტის პროექტს, რომელიც განხილულ იქნა მართლმადიდებელთაშორისი მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე 1993 წელს და

მეოთხე სრულიადმართლმადიდებლურ წინასაკრებო სხდომაზე 2009 წელს.

ამ პროექტით გათვალისწინებული და წინასწარ შეთანხმებული პროცედურა ავტოკეფალიის მინიჭების შესახებ გულისხმობს: ა) კირიარქული დედა-ეკლესიის სინოდის თანხმობას იმაზედ, რომ მისმა ნაწილმა ავტოკეფალია მიიღოს; ბ) მსოფლიო პატრიარქის მიერ ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის კონსენსუსის გამოვლენას, რომელიც გამოხატული უნდა მათი კრებების ერთსულოვნებით; გ) დედა-ეკლესიის თანხმობისა და სრულიადმართლმადიდებლური კონსენსუსის საფუძველზე ავტოკეფალიის ოფიციალური გამოცხადება ტომოსის გამოქვეყნების საშუალებით, რომელსაც „ხელს აწერს მსოფლიო პატრიარქი და დამოწმებულია მის მიერ ამ მიზნით მოწვეული უწმინდესი ავტოკეფალიური ეკლესიების უნეტარესი წინამძღვრების ხელმოწერებით“. ბოლო პუნქტთან დაკავშირებით, მხოლოდ ტომოსზე ხელმოწერის რიგითობა არ იყო სრულად შეთანხმებული, რაც არ აკნინებდა დანარჩენ პუნქტებზე მიღწეული შეთანხმებების მნიშვნელობას.

ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვართა 2014 და 2016 წლებში შემდგარ კრებებზე, მოსკოვის საპატრიარქოს დელეგაცია, ზოგიერთ სხვა მოძმე ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად, დაჟინებით ითხოვდა ავტოკეფალიის საკითხის შეტანას კრების დღის წესრიგში. თუმცა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს თხოვნით მიმართა, არ გამოეტანათ ავტოკეფალიის თემა კრებაზე, რომელიც 2016 წლის ივნისში იყო დაგეგმილი. რუსეთის ეკლესია დათანხმდა ამ საკითხის კრების დღის წესრიგიდან გამორიცხვას მხოლოდ მას შემდეგ, რაც პატრიარქმა ბართლომეოსმა 2016 წლის 24 იანვარს, წინამძღვართა შეკრებაზე დარწმუნებით განაცხადა, რომ კონსტანტინოპოლის ეკლესიას არ აქვს განზრახვა განახორციელოს რაიმე ქმედება უკრაინაში საეკლესიო ცხოვრებასთან დაკავშირებით არც წმინდა და დიდ კრებაზე, და არც კრების შემდეგ.

ახლა უკვე აშკარა გახდა, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი უკვე მაშინ ამზადებდა უკრაინაში შეჭრას და ამიტომ განერიდა ავტოკეფალიის თემის განხილვას, დაჟინებით მოითხოვდა რა მის გამორიცხვას კრების დღის წესრიგიდან, თითქოსდა, დროის არქონის გამო მისი დეტალური დამუშავებისთვის. სინამდვილეში კი, კონსტანტინოპოლის წინამძღვარს სურდა, გაეუქმებინა ყველა ის წინასწარი შეთანხმება, რაც მანამდე მიღწეული იყო ზოგადმართლმადიდებლურ დონეზე – იმ მცდარი თეორიის სასარგებლოდ, რომლის მიხედვითაც ავტოკეფალიის მინიჭების უფლება მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიას ეკუთვნის. სწორედ ამ შეხედულებების განვითარებამ განაპირობა 2019 წელს ეგრეთ წოდებული „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის“ ავტოკეფალიის ტომოსის ბოძება.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული შვილები არ ცნობენ და არ აღიარებენ იმ ავტოკეფალიებს, რომლებსაც კონსტანტინოპოლის ეკლესია ქმნის ან მომავალში შექმნის ერთპიროვნული წესით სხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების თანხმობის გარეშე, მით უფრო, კირიარქალური ეკლესიების ინიციატივისა და თანხმობის გარეშე. ავტოკეფალიის თემა საჭიროებს შემდგომ განხილვას იმ წინასწარი შეთანხმებების საფუძველზე, რომლებიც მიღწეულ იქნა წინასაკრებო პროცესების მიმდინარეობისას, კერძოდ, კომისიებსა და თათბირებზე 1993 და 2009 წლებში.

6. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ავტოკეფალიური ეკლესიების თანასწორობის პრინციპის დარღვევა

ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესია ფლობს მმართველობის სრულ დამოუკიდებლობას და შიდა საკითხების გადაწყვეტისას არ არის დამოკიდებული სხვა რომელიმე ადგილობრივ ეკლესიაზე. მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესია წარმოადგენს ადგილობრივი ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიების ოჯახს. ავტოკეფალიური ეკლესიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ ავტონომიური ეკლესიები და სხვა ეკლესიური წარმონაქმნები, რომლებსაც თვითმმართველობის სხვადასხვა ხარისხი აქვთ.

ყველა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესია, განურჩევლად იმისა, როდის და რა გზით მიიღეს ავტოკეფალია, ერთმანეთთან მიმართებით თანასწორნი არიან. თანამსახურების დროს, ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვრები და წარმომადგენლები დიპტიქის მიხედვით არიან განლაგებულნი. მაგრამ დიპტიქში წინამძღვრის უფრო ქვედა ადგილი არ აყენებს ამა თუ იმ ეკლესიას დაქვემდებარებულ მდგომარეობაში დიპტიქში უფრო მაღალი ადგილის მქონე ეკლესიასთან მიმართებით.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დღეს ცდილობს, ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებს სულ სხვა წარმოდგენა მოახვიოს თავს ავტოკეფალიის კანონიკურობასთან დაკავშირებით. მისი მტკიცებით, ნებისმიერი ეკლესია ავტოკეფალიური ხდება მხოლოდ და მხოლოდ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან მიღებული ტომოსის ძალით **[50]**, მაგრამ ისტორიამ იცის ამა თუ იმ ადგილობრივი ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვების სხვა გზებიც. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მტკიცებით, კონსტანტინოპოლის პატრიარქი წარმოადგენს უმაღლეს სააპელაციო ინსტანციას ყველა ადგილობრივი ეკლესიისთვის (იხ. ნაწილი 2). მისივე მტკიცებით, წმინდა მირონის მომზადებისა და დარიგების უფლება მხოლოდ კონსტანტინოპოლის პატრიარქს აქვს; ასევე –მხოლოდ კონსტანტინოპოლში შეიძლება აღსრულდეს წმინდანთა კანონიზირება.

ეს ახალი ეკლესიოლოგიური კონცეფცია კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ სრულად განახორციელა 2019 წელს, ე.წ. „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის“ (ПЦУ) დაარსებით, – არაკანონიკური წარმონაქმნისა, რომელიც შეიქმნა სქიზმატიკოსთა ორი ჯგუფისგან. ფუძემდებლურ სამართლებრივ დოკუმენტებში – „საპატრიარქო და სინოდალური ტომოსი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საეკლესიო ავტოკეფალიური სტატუსის მინიჭების შესახებ“ (შემდგომში: ტომოსი) და „უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წესდება“ (შემდგომში: წესდება) – ჩადებულია თითქოსდა ავტოკეფალიური ეკლესიის უმნიშვნელოდ ნაკლული მოდელი, მაგრამ, რომელიც, სინამდვილეში, ПЦУ-ს პირდაპირ და ძლიერ დამოკიდებულებაში აგდებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან მიმართებით.

მაგალითად, თუკი რიგი ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ ავტოკეფალიის მინიჭების ადრეულ ტომოსებში ხაზგასმული იყო, რომ ყველა ეკლესიის თავი არის უფალი იესო ქრისტე **[51]**, ПЦУ-ს ტომოსში ნათქვამია, რომ „უკრაინის ავტოკეფალიური ეკლესია თავად აღიარებს უწმინდეს სამოციქულო

და საპატრიარქო მსოფლიო საყდარს, როგორც სხვა პატრიარქები და წინამძღვრები“ **[52]**. წესდების თანახმად (პუნ. 1), ახალშექმნილი „ავტოკეფალიური ეკლესია“, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ახალი კონცეფციის შესაბამისად, „ერთია ქრისტეს დიდ დედა-ეკლესიასთან კონსტანტინოპოლში და მისი მეშვეობით ყველა სხვა მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიასთან“. ტომოსი ადგენს, რომ ამ „ავტოკეფალიურ ეკლესიას“ „თავის უპირველეს ამოცანად“ მიაჩნია არა მხოლოდ მართლმადიდებლური სარწმუნოების შენარჩუნება, არამედ ასევე „მსოფლიო საპატრიარქოსთან კანონიკური ერთობა და ზიარება“.

ამავე ახალი ეკლესიოლოგიური კონცეფციის შესაბამისად, ტომოსი პირდაპირ უკრძალავს ავტოკეფალიურ ეკლესიას „ეპისკოპოსების დადგინებას ან საზღვარგარეთ სამრევლოების დაარსებას“, და განაპირობებს, რომ „ის სამრელოები, რომლებიც უკვე არსებობენ, ამიერიდან, წესრიგის თანახმად, დაექვემდებარებიან მსოფლიო საყდარს, რომელსაც აქვს კანონიკური უფლებამოსილება დიასპორაზე“. ეს დებულება პირდაპირ დასტურდება წესდებით: „მართლმადიდებლურ დიასპორებში უკრაინული წარმოშობის მართლმადიდებელი ქრისტიანები ამიერიდან სულიერად ისაზრდოებენ მსოფლიო საპატრიარქოს ეპარქიალური მღვდელმთავრებისგან“ (წესდ, I, 4). გარდა ამისა, ტომოსში ნათქვამია, რომ „ამ ეკლესიის იურისდიქცია შემოიფარგლება უკრაინის სახელმწიფოს ტერიტორიით“, ამასთან, ამავე ტერიტორიაზე აწესებს კონსტანტინოპოლის ეკლესიის საეეგზარქოსოს და მისი სტავროპიგიებს, და ხაზს უსვამს, რომ „მსოფლიო საყდრის უფლებები უკრაინის საეგზარქოსოზე და წმინდა სტავროპიგიებზე შენარჩუნებულია მოუკლებლად“. გარდა ამისა, წესდება აფრთხილებს კონსტანტინოპოლის სტავროპიგიების საქმეებში ყოველგვარი ჩარევისგან: „გადაწყვეტილება საპატრიარქო სტავროპიგიების შინაგანაწესის მომზადებისა და დამტკიცების საკითხებზე ეკუთვნის მხოლოდ და მხოლოდ მსოფლიო პატრიარქს და მხოლოდ მას“. ეპარქიების მმართველი ეპისკოპოსები ვერ ჩაერევიან „მსოფლიო პატრიარქისადმი დაქვემდებარებული საპატრიარქო სტავროპიგიების“ მმართველი ორგანოების ფორმირებაში.

ორივე დოკუმენტი – ტომოსი და წესდება – წინასწარ განაპირობებს კონსტანტინოპოლის პატრიარქის სასამართლო უფლებამოსილებებს: „ასევე შენარჩუნებულია ყველა ეპისკოპოსისა და სხვა სასულიერო პირების უფლება, აპელაციით მიმართონ მსოფლიო პატრიარქს, რომელიც ფლობს კანონიკურ პასუხისმგებლობას, მიიღოს საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილებები ადგილობრივი ეკლესიების ეპისკოპოსთა და სხვა სასულიერო პირთა საქმეებზე“ (ტომოსი); „ნებისმიერი ხარისხის სასულიერო პირს, რომელსაც საეკლესიო ხელისუფალთა მიერ საბოლოოდ ნებისმიერი სასჯელი აქვს დადებული, შეუძლია გამოიყენოს მსოფლიო პატრიარქთან აპელაციის (ἔκκλητον) უფლება“ (წესდ. XI).

ორ „ავტოკეფალურ“ ეკლესიას შორის ამ აშკარად უთანასწორო ურთიერთობის მომავალშიც უზრუნველსაყოფად, რომელთაგან სინამდვილეში მხოლოდ ერთი გამოდის ავტოკეფალიური, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო საგანგებოდ განაპირობებს, რომ წესდება „სრულად უნდა შეესაბამებოდეს წარმოდგენილ საპატრიარქო და სინოდალურ ტომოსს“, ხოლო წესდებით განწესებულია დებულება იმის შესახებ, რომ „ტომოსის მიხედვით წესდების დებულებების განმარტების უფლება აქვს მხოლოდ მსოფლიო პატრიარქს“.

უთანასწორობა და პირდაპირი სუბორდინაციაც კი, დაფიქსირებულია ტომოსისა და წესდების ზოგიერთ სხვა დებულებაშიც. მაგალითად, „ეკლესიური, დოგმატური და კანონიკური ხასიათის მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად“, ПЦУ-ის წინამძღვარმა „უნდა მიმართოს ჩვენს უწმინდეს საპატრიარქო და

მსოფლიო საყდარს, სთხოვოს მას ავტორიტეტული აზრი და უდავო მხარდაჭერა“ (ტომოსი), და ამ შემთხვევაში კონსტანტინოპოლის პატრიარქი „უცხადებს სათანადო გადაწყვეტილებას უკრაინის ეკლესიის ეპისკოპოსთა წმინდა კრებას“ (წესდ. IV, 3). წმინდა მირონი ПЦУ-მ უნდა მიიღოს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან.

ამრიგად, ტომოსი და წესდება, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ახალი ეკლესიოლოგიური კონცეფციის ძირითადი დებულებების თანახმად, ქმნის სამართლებრივ პრეცედენტს ადგილობრივ ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის უფლებების უთანასწორობის დასამყარებლად და მათ დაქვემდებარებას კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ადმინისტრაციული ხელისუფლებისადმი. მართლმადიდებელ ეკლესიაში ასეთ უთანასწორობას ბევრი სამართლიანად განიხილავს როგორც საეკლესიო ხელისუფლების მიახლოებას პაპისტურ მოდელთან **[53]**, რომელიც არასოდეს ყოფილა მართლმადიდებლობაში.

მრავალსაუკუნოვანი კანონიკური ტრადიციის ერთგული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, იცავდა და კვლავ დაიცავს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების თანასწორობას და თითოეული ადგილობრივი ეკლესიის დამოუკიდებლობას სხვა ადგილობრივი ეკლესიებისგან შიდა მმართველობაში. უკრაინელი სქიზმატიკოსების ჯგუფისთვის ბოძებულ ავტოკეფალიის დოკუმენტში ასახული „შეურაცხყოფა ავტოკეფალიის წმინდა ინსტიტუტისა“**[54]**, გახდა ერთ-ერთი სამწუხარო შედეგი წმინდა გარდამოცემის დამახინჯებისა, რომელზეც საუკუნეების მანძილზე შენდებოდა მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრება, როგორც ადგილობრივი ეკლესიების ოჯახისა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი შიდა მმართველობაში.

7. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ რჯულდებითი მნიშვნელობის აქტების ცალმხრივი წესით გადასინჯვა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქო მართლმადიდებლურ სამყაროში თავის ვითომცდა განსაკუთრებულ უფლებამოსილებაზე პრეტენზიების გამოცხადების შემდეგ, ცალმხრივი წესით მიადგა ისტორიული აქტების გადასინჯვას, რომლებსაც კანონმდებლობითი მნიშვნელობა აქვთ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიებისთვის და მათი კანონიკური საზღვრებისთვის. ეს მიდგომა ეწინააღმდეგება ეკლესიის კანონიკურ ტრადიციას, არღვევს, კერძოდ, კართაგენის 119-ე (133) **[55]** და IV მსოფლიო კრების მე-17 კანონებს **[56]**. აღნიშნული კანონები არ იძლევა იმ დადგენილი საეკლესიო საზღვრების გადასინჯვის უფლებას, რომლებიც მანამდე დიდი ხნის განმავლობაში არ ყოფილა სადავო თემა.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიერ ამ საეკლესიო კანონების დარღვევის მაგალითია, 1923 წლის 7 ივლისით დათარიღებული კონსტანტინოპოლის პატრიარქ მელეტი IV-ის ტომოსის „განახლება“ **[57]**, რომელმაც სრულიად რუსეთის პატრიარქ ტიხონთან შეუთანხმებლად და მისთვის შეუტყობინებლად,

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში მიიღო ესტონეთის ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში შედიოდა. მას შემდეგ, რაც 1944 წელს ესტონეთში მოსკოვის საპატრიარქოს კანონიერი იურისდიქცია აღდგა, 1923 წლის ტომოსი დავიწყებას მიეცა. 1978 წლის 3 აპრილს კონსტანტინოპოლის პატრიარქ დიმიტრისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სინოდის გადაწყვეტილებით, ტომოსი „ბათილად“ გამოცხადდა, ხოლო კონსტანტინოპოლის საქმიანობა ესტონეთში – „დასრულებულად“ **[58]**. მიუხედავად ამისა, 1996 წლის 20 თებერვალს, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდმა პატრიარქ ბართლომეოსის თავმჯდომარეობით, ამ გადაწყვეტილებას ახალი ინტერპრეტაცია მისცა და განაცხადა, რომ 1978 წელს „დედა ეკლესიამ... 1923 წლის ტომოსი უმოქმედოდ გამოაცხადა, ანუ ვერ შემძლებლად, ემოქმედა იმ დროს ესტონეთის ტერიტორიაზე, რომელიც მაშინ საბჭოთა კავშირის ნაწილი იყო, მაგრამ არ გაუუქმებია, მისთვის ძალა არ შეუკვეცია და არ გაუნულებია“; და ახლა პატრიარქი ბართლომეოსი და მისი სინოდი აცხადებს „1923 წლის საპატრიარქო და სინოდალური ტომოსის მოქმედების განახლებას“ **[59]**.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ანტიკანონიკურმა ექსპანსიამ ესტონეთის ტერიტორიაზე, გამოიწვია 1996 წელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ევქარისტიული კავშირის დროებითი შეჩერება კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან. ზიარება განახლდა ორი ეკლესიის წმინდა სინოდების ერთობლივი გადაწყვეტილებით 1996 წლის 16 მაისს ციურიხის შეთანხმების პირობებით, რაც კონსტანტინოპოლის მხრიდან ბოლომდე არასდროს შესრულებულა.

2018 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ ცალმხრივად გააუქმა 1686 წლის აქტი, რომელსაც ხელს აწერენ კონსტანტინოპოლის უწმინდესი პატრიარქი დიონისე IV და კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმინდა სინოდი, და რომელიც ადასტურებდა კიევის მიტროპოლიის არსებობას მოსკოვის საპატრიარქოს შემადგენლობაში. როგორც რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 2018 წლის 15 ოქტომბრის განცხადებაშია აღნიშნული, 1686 წლის აქტი გადასინჯვას არ ექვემდებარება, წინააღმდეგ შემთხვევაში „შესაძლებელი გახდებოდა ნებისმიერი დოკუმენტის გაუქმება, რომელიც განსაზღვრავს ადგილობრივი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიას და სტატუსს – მიუხედავად მისი სიძველისა, ავტორიტეტისა და ზოგადსაეკლესიო აღიარებისა“.

1686 წლის სინოდალური სიგელი და ამ საკითხთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები არაფერს ამბობს კიევის მიტროპოლიის მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში გადაცემის დროებით ხასიათზე და ასევე არ ადგენს ამ აქტის გაუქმების შესაძლებლობას.

1686 წლის აქტის გაუქმების უსაფუძვლობა ხაზგასმულია იმით, რომ ყოვლადმართლმადიდებლურ დონეზე სამ ასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში არავის შეპარვია ეჭვი იმაში, რომ უკრაინის მართლმადიდებლები რუსეთის ეკლესიის სამწყსოს მიეკუთვნებიან და არა კონსტანტინოპოლის ეკლესიისას **[60]**. გარდა ამისა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დუმს იმ ფაქტზე, რომ 1686 წლის კიევის მიტროპოლია, რომლის დაბრუნებასაც ახლა კონსტანტინოპოლი აცხადებს, მოიცავდა თანამედროვე უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ტერიტორიის მხოლოდ მცირე ნაწილს, რომელიც მოგვიანებით ჩამოყალიბდა რუსეთის ავტოკეფალიური ეკლესიის შემადგენლობაში.

III მსოფლიო კრების მე-8 კანონი **[61]** ეპისკოპოსებს უკრძალავს, გაავრცელონ თავიანთი ხელმწიფება სხვა ეკლესიების სამოღვაწეო ტერიტორიებზე. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური იერარქიის თანხმობის გარეშე, კიევში თავისი „სტავროპიგიის“ დაარსებით კონსტანტინოპოლის საპატრიარქო შეიჭრა სხვა ეკლესიის საზღვრებში, რაც აღნიშნული კანონით სასჯელს ექვემდებარება.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ თავისი წინა გადაწყვეტილებების გაუქმების მუქარა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებზე ზეწოლის იარაღად აქცია. მაგალითად, კონსტანტინოპოლის პატრიარქი ბართლომეოსი, ჩეხეთისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ყოფილ წინამძღვარს, მიტროპოლიტ ქრისტოფორეს, 2012 წლის 4 თებერვლის წერილში ამ ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით დაემუქრა **[62]**.

აუცილებელია, განსაკუთრებული ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბართლომეოსის მცდელობები, თავს მოახვიოს მართლმადიდებლურ სამყაროს შეხედულება, თითქოს კონსტანტინოპოლის ტახტს ეკუთვნის უფლება, თავისი ცალმხრივი მოსაზრებით გააუქმოს საკრებო ან სინოდალური განჩინებები ნებისმიერი სიძველისა, არ შეესაბამება ეკლესიის კანონიკურ წყობას და ეკლესიათაშორის ურთიერთობებს ქაოტური უკანონობის მდგომარეობაში აგდებს.

8. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზიები საეკლესიო იურისდიქციის ექსკლუზიურ უფლებაზე დიასპორაში

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზიები საეკლესიო იურისდიქციის ექსკლუზიურ უფლებაზე მართლმადიდებელთა გაფანტვის ყველა ქვეყანაში, ჩამოყალიბდა მეოცე საუკუნის 20-იან წლებში. ადრე კონსტანტინოპოლის ეკლესიას ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა შეხედულება ჰქონდა. კერძოდ, ის აღიარებდა: 1) რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციას ამერიკაზე; 2) იერუსალიმის საპატრიარქოს სულიერ ზრუნვას მართლმადიდებლურ დიასპორებზე ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში; 3) პეტერბურგის მიტროპოლიტის კანონიკურ მმართველობას დასავლეთ ევროპის რუსულ მართლმადიდებლურ დიასპორაში; 4) ელადის ეკლესიის უფლებას ბერძნული სამრევლოების მართვაზე დიასპორაში, რაც დამტკიცებულია 1908 წლის 18 მარტის საპატრიარქო და სინოდალური ტომოსით, რომელსაც ხელს აწერენ კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოაკიმე III და კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმინდა სინოდის წევრები.

ახალი თეორიის ავტორი, სრულიად მართლმადიდებლური დიასპორის დაუყოვნებლივი და სავალდებულო დაქვემდებარების შესახებ კონსტანტინოპოლის საყდრისადმი, იყო პატრიარქი მელეტი IV (მეტაქსაკისი), რომელსაც კონსტანტინოპოლის კათედრა 1921–1923 წლებში ეკავა. თეორია ეფუძნებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გლობალურ ეკლესიად გადაქცევის კონცეფციას, რომელიც ორგანიზებული იქნებოდა ექსტერიტორიული იურისდიქციის პრინციპით, თავისებური „მართლმადიდებლური ვატიკანი“ **[63]**. 1922 წლის 1 მარტის სინოდალური გადაწყვეტილებით, შეწყდა

1908 წლის ტომოსის მოქმედება, თანაც, თუკი ის დოკუმენტი ეხებოდა მხოლოდ *ბერძნულ* სამრევლოებს დიასპორაში, ახალი გადაწყვეტილებით კონსტანტინოპოლს ეძლევა „ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების საზღვრებს გარეთ, ევროპაში, ამერიკაში და სხვა ადგილებში მოქმედი ყველა მართლმადიდებლური სამრევლოს, *გამონაკლისის* გარეშე, უშუალო ზედამხედველობა და მართვის უფლება“ **[64]**.

ახალი თეორიის შესაბამისად, 1922 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სტრუქტურები შეიქმნა დასავლეთ ევროპაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში, ხოლო 1924 წელს – ავსტრალიასა და ოკეანიაში, ასევე ცენტრალურ ევროპაში. შემდგომ წლებშიც გაგრძელდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სტრუქტურების შექმნა დიასპორის სხვა რეგიონებში. ამავე დროს, კონსტანტინოპოლი, სადაც ეს შესაძლებელი იყო, ხელს უშლიდა დიასპორის სხვა ადგილობრივი ეკლესიების იურისდიქციის შექმნას ან აღდგენას **[65]**.

კონსტანტინოპოლის პრეტენზიები მთელს დიასპორაზე ძირითადად ემყარება IV მსოფლიო კრების 28-ე წესის გაგებას, რომელსაც არ იზიარებს სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის სისავსე, და სადაც წერია: „ამიტომ პონტოს, აზიისა და თრაკიის სამთავროების მიტროპოლიტები, ასევე აღნიშნული სამთავროების უცხოტომელთა ეპისკოპოსები, უნდა დადგინდნენ კონსტანტინოპოლის ეკლესიის წმინდა საყდრის მიერ“. ეს კანონი ეხება რომის იმპერიის კონკრეტულ რეგიონებს, სადაც ქრისტიანობის გავრცელება დაკავშირებული იყო კონსტანტინოპოლის ეკლესიის მისიონერულ ძალისხმევასთან.

კონსტანტინოპოლის თანამედროვე ეკლესიაში პრეტენზიები – აღნიშნულ კანონზე დაყრდნობით – წარმოდგენილია მთელს მართლმადიდებლურ დიასპორაზე, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, დასავლეთ ევროპის, აზიის, ავსტრალიისა და ოკეანიის ჩათვლით. თითქოს ამ რეგიონებში მხოლოდ კონსტანტინოპოლის ეკლესიის იურისდიქცია შეიძლება არსებობდეს, სხვა ადგილობრივი ეკლესიები კი იქ აუკანონოდ იმყოფებიან. უფრო მეტიც, თუ, მაგალითად, დიასპორაში მოღვაწე რომელიმე ადგილობრივი ეკლესიის ეპისკოპოსს ან სასულიერო პირს სურს, გადავიდეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში, მაშინ ის, თთქოს, არ საჭიროებს განსატევებელ სიგელს, რადგან ფაქტიურად გადასვლამდე უკვე იყო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ეპისკოპოსი ან კლირიკოსი, ოღონდ მან ეს არ იცოდა **[66]**.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზიები ასევე მოიცავს ისეთ ქვეყნებს, სადაც ამ საპატრიარქოს სტრუქტურები არ არსებობს და არ არასოდეს არსებულა, და სადაც კონსტანტინოპოლის ეკლესიის მისიონერებს არასოდეს უქადაგიათ, მაგალითად, იაპონია და ჩინეთი.

იაპონიაში მართლმადიდებლობის ჩამოყალიბება, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია მხოლოდ წმინდა ნიკოლოზ იაპონელის და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა გამოჩენილი მისიონერების ღვაწლთან. 1970 წელს იაპონიის მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო ავტონომია მოსკოვის საპატრიარქოსგან, მაგრამ კონსტანტინოპოლმა არა მხოლოდ არ სცნო ეს აქტი, არამედ გამოაცხადა თავისი უფლებები ამ ტერიტორიაზე, რის გამოც 1971 წელს, საპატრიარქო ტახტის ადგილმონაცვლე, მიტროპოლიტი პიმენი (მოგვიანებით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი) პატრიარქ ათენაგორასადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს „მსოფლიო საპატრიარქოს წმიდა სინოდის ქმედებების პრინციპიალურ წინააღმდეგობას მართლმადიდებლურ კანონიკურ სამართალთან და ადგილობრივი

მართლმადიდებელი ეკლესიების პრაქტიკასთან“ **[67]**. და ამინც, 2004 წელს კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ თავის კორეელ მიტროპოლიტს მიანიჭა „იაპონიის ეგზარქოსის“ ტიტული, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყანაში მას საკუთარი სამწყსო საერთოდ არ ჰყავს.

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მართლმადიდებლური დიასპორაზე ზრუნვის ექსკლუზიური უფლების თეორია ასევე დაკავშირებულია კონსტანტინოპოლის ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილებასთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეყვანის შესახებ ჰონგკონგის მიტროპოლიის საზღვრებში (როგორც 1996 წ., როდესაც ის დაარსდა, ისევე 2008 წ., როცა მას გამოეყო სინგაპურის მიტროპოლია), მიუხედავად ჩინეთის ტერიტორიაზე უკვე არსებული მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესიისა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა 2008 წლის 15 აპრილს განაცხადა: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი სულიერი კავშირები ჩინეთთან, – სადაც მისი ძალისხმევით აშენდა ათობით მართლმადიდებელი ტაძარი, ჩინურ ენაზე ითარგმნა წმინდა და ლიტურგიკული წიგნები, მართლმადიდებლური ღვთისმოსაობით აღიზარდნენ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს თავგანწირვამდე ერთგული მოწმეები, – წმინდა სინოდს ახლა ავალდებულებს, გამოვიდეს ჩინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთივხსნილი სამწყსოს უფლებების დასაცავად, რომელიც დასუსტებულია გადატანილი მძიმე განსაცდელებით, და გამოაცხადოს კონსტანტინოპოლის ტახტის გადაწყვეტილების უსამართლობა და უკანონობა, რაც აზიანებს ღვთის წმინდა ეკლესიების მშვიდობასა და კეთილდღეობას“ **[68]**.

კატეგორიულად შეუძლებელია დაეთანხმო კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს პრეტენზიებს დიასპორაში მართლმადიდებელ მორწმუნეთა სამწყემსო ზრუნვის ექსკლუზიურ უფლებაზე. არცერთ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიას არ აქვს განსაკუთრებული, გამორჩეული და ყოვლისმომცველი უფლება მთელი მართლმადიდებლური დიასპორის იურისდიქციაზე. პირიქით, თითოეულ ადგილობრივ ეკლესიას ეკისრება პირდაპირი სამწყემსო პასუხისმგებლობა გაფანტულობაში მყოფ თავის შვილებზე, როცა ისინი სხვა ადგილობრივი ეკლესიების კანონიკურ საზღვრებს გარეთ ცხოვრობენ. კართაგენის კრების 99-ე (112) კანონის თანახმად, „ეპისკოპოსებმა,.. ვინც კათოლიკე სარწმუნოებაზე მოაქციეს ერი, რომელიც თავის მმართველობა ჰყავდათ, უნდა შეინარჩუნონ ხელისუფლება მასზე“.

კონსტანტინოპოლის ახალი სწავლება, დიასპორაში მისი გამორჩეული კანონიკური უფლებების შესახებ, ქრისტეს ეკლესიაში კონფლიქტების წყაროდ იქცა. ამიტომ ყოვლადმართლმადიდებლური კრებისთვის მზადების ფარგლებში თავიდანვე იქნა დღის წესრიგში შეტანილი დიასპორის საკითხი. 2009 წელს IV ყოვლადმართლმადიდებლურ წინასაკრებო სხდომაზე გადაწყდა, დიასპორის ქვეყნების თითოეულ რეგიონში შექმნილიყო საეპისკოპოსო კრებები „ამ რეგიონის ყველა კანონიკურად აღიარებული ეპისკოპოსის შემადგენლობით, რომლებიც შემდგომშიც გააგრძელებდნენ იმ კანონიკური იურისდიქციებისადმი დაქვემდებარებას, რომლებსაც ისინი მიეკუთვნებიან“ **[69]**. კრებები უნდა გამართულიყო კონსტანტინოპოლის ეკლესიის დაქვემდებარებაში მყოფი ეპისკოპოსთაგან პირველის თავმჯდომარეობით, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში – ადგილობრივი ეკლესიების ეპისკოპოსთაგან უფროსის თავმჯდომარეობით და დიპტიქებში რიგითობის დაცვით.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ეპისკოპოსთა კრებებს დიასპორაში განიხილავდა, როგორც საკონსულტაციო ორგანოებს, რომლებსაც კოორდინაცია უნდა გაეწიათ სხვადასხვა ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების ქმედებებისთვის, მათი დამოუკიდებლობის ყოველგვარი

დამცრობის გარეშე **[70]**. თუმცა კონსტანტინოპოლისთვის საეპისკოპოსო კრებების შექმნა აღმოჩნდა ნაბიჯი დიასპორაში ადგილობრივი ეკლესიების ყოფნის თანდათანობით გაუქმებისკენ. მთელ რიგ ქვეყნებში კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლებმა საკუთარ თავზე აიღეს სახელმწიფოს წინაშე ყველა ადგილობრივი ეკლესიის წარმომადგენლობითი ფუნქცია და მათი სახელით საჯარო განცხადებების გაკეთებას შეუდგნენ, – არცთუ იშვიათად თავად ამ ეკლესიების თანხმობის გარეშე.

9. დასკვნა

კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ახალი საეკლესიო კონცეფციის იდეები აშკარა წინააღმდეგობაში მოდის მართლმადიდებლურ გარდამოცემასთან და კანონიკურ დებულებებთან, რის გამოც კონსტანტინოპოლის საპატრიარქო იძულებულია, თვით ეს გარდამოცემა დააყენოს ეჭვქვეშ და მისი რევიზია მოითხოვოს. პატრიარქმა ბართლომეოსმა განაცხადა: „ჩვენ, მართლმადიდებლებმა, თვითკრიტიკით უნდა შევხედოთ საკუთარ თავს და გადავხედოთ ჩვენს ეკლესიოლოგიას, თუ არ გვინდა ვიქცეთ პროტესტანტული ტიპის ეკლესიების ფედერაციად“ **[71]**. ამ აშკარად მოგონილი საფრთხის თავიდან ასაცილებად, მისი სიტყვით, აუცილებელია, სასწრაფოდ ვაღიაროთ „რომ განუყოფელ მსოფლიო მართლმადიდებლობაში არის ერთი „პირველი“, არა მხოლოდ პატივით, არამედ „პირველი“, ასევე, განსაკუთრებული მოვალეობებით და საეკლესიო კრებების მიერ მინიჭებული უფლებამოსილებებით“ **[72]**.

ჩვენ ვგმობთ და არ ვიწყნარებთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ახალი ეკლესიოლოგიური კონცეფციის თეორიულ დებულებებს, ასევე პრაქტიკულად არასამართლებრივ და უკანონო ქმედებებს, რომლებიც განხორციელდა ამ კონცეფციის თანამედროვე საეკლესიო ცხოვრებაში დანერგვის წესით. ეს დებულებები და ქმედებები არ შეესაბამება მართლმადიდებლურ გარდამოცემას/ტრადიციას, ანგრევს მსოფლიო ეკლესიის კანონიკურ საფუძვლებს და მძიმე ზიანს აყენებს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობას.

ჩვენ, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსები, აღვავლენთ რა ლოცვას მთელს მსოფლიოში განფენილი მართლმადიდებელი ეკლესიის ერთობასა და მართლმკვეთელობაში შენარჩუნებისთვის, მოვუწოდებთ ღმრთის წმინდა ეკლესიების უწმინდეს და უნეტარეს წინამძღვრებს, თანამოძმე მართლმადიდებელ იერარქებს, ღვთისსათნო მღვდლებსა და დიაკვნებს, პატიოსან მონოზვნებსა და ღვთისმოთნე ერისკაცებს – ყველას, ვინც ერთობლიობაში შეადგენს ქრისტეს მსოფლიო ეკლესიის სისავსეს, იმავე გულმხურვალე ლოცვისკენ უფალ იესოს მიმართ, რომელი არის ერთი მხოლო ჭეშმარიტი თავი საკუთარი ეკლესიისა, და დაე, ერთად შეეკრიბოს დაშორებულნი ზეციერი მამის ნებით და ყოვლადწმიდა სულის მადლით, დაე განედევნოს ყველა ერესი და განხეთქილება წმინდა მართლმადიდებლობის ზღუდიდან, დაე გაეუქმებინოს მტრობა და შეერცხვინოს ყოველგვარი სიცრუე, რათა ერთი პირითა და ერთი გულით იდიდებოდეს ერთ, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში

ყოვლადწმიდა სახელი მამისა, ძისა და სულიწმიდისა. ამინ.

---

[1] იხ. პუბლიკაცია: «Το Οικουμενικό Πατριαρχείο στην Λιθουανία» საიტზე: «Фос Фанариу» (**https://fosfanariou.gr/index.php/2023/03/21/to-ecun-patriarxeio-stin-lithouania**/)

[2] კვიპრიანე კართაგენელი, მღვდელმოწამე. წიგნი ეკლესიის ერთობის შესახებ.

[3] ეგნატე ანტიოქიელი, მღვდელმოწამე. ეპისტოლე სმირნელთა მიმართ VIII, 2.

[4] ირინეოს ლიონელი, მღვდელმოწამე. მწვალებლობათა წინააღმდეგ II, XXIV, 1.

[5] მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია მსოფლიო ეკლესიაში პირველობის საკითხთან დაკავშირებით პუნ. 2 (3).

[6] არქიმანდრიტი პანტელეიმონი (მანუსაკისი), წმინდა ჯვრის კოლეჯის პროფესორი (აშშ): Manoussakis, John Panteleimon. Primacy and Ecclesiology: The State of the Question // Orthodox Constructions of the West. Ed. by G.E. Demacopoulos and A. Papanikolaou. New York: Fordham University Press, 2013. P. 229, 232.

[7] ელპიდოფორე (ლამბრინიადისი), მიტროპოლიტი Primus sine paribus. პასუხი მსოფლიო ეკლესიაში პირველობის საკითხთან დაკავშირებით მოსკოვის საპატრიარქოს პოზიციაზე.

[8] იხ. ელპიდოფორე (ლამბრინიადისი), მიტრ. Primus sine paribus: „ეკლესიას ყოველთვის და სისტემატურად ესმოდა მამის პიროვნება, როგორც პირველის („მამის მონარქია“) წმიდა სამების პირთა ურთიერთზიარებაში. ჩვენ რომ რუსეთის სინოდის ტექსტის ლოგიკას გავყოლოდით, მაშინ ისიც უნდა გვემტკიცებინა, რომ მამა ღმერთი არ არის ღმრთაებრიობისა და მამობის დაუსაბამო მიზეზი... არამედ ხდება თავისი პირველობის მიმღები. საიდან? წმიდა სამების სხვა პირებისგან?“.

[9] ამერიკის მთავარეპისკოპოსის ელპიდოფორეს ქადაგება წმ. ბართლომეს საეპისკოპოსო ეკლესიაში.

ნიუ-იორკი, 2023 წლის 10 ივნისი.

[10] „წარმოუდგენელია, რომ ადგილობრივმა ეკლესიამ, განსაკუთრებით კი იმ ეკლესიამ, რომელმაც მიიღო ის, რასაც ამჟამად წარმოადგენს, მსოფლიო საპატრიარქოს ინიციატივებისა და ქმედებების წყალობით, შეწყვიტა მასთან ზიარება; არადა, იმისგან მომდინარეობს მისი არსებობის კანონიკურობა“ (ამფილოქე, ადრიანოპოლის მიტროპოლიტი). მსოფლიო საპატრიარქოს უარყოფით, შენ უარყოფ საკუთარი არსებობის წყაროს – ვებგვერდი orthodoxia.info).

[11] „მსოფლიო საპატრიარქოს... აქვს კანონიკური იურისდიქცია და ყველა სამოციქულო პრივილეგია, ატარებს რა პასუხისმგებლობას ადგილობრივი ეკლესიების ერთობისა და ზიარების შენარჩუნებაზე“ (კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ბართლომეოსის შესავალი სიტყვა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერარქთა შეკრებაზე 2018 წლის 1 სექტემბერს).

[12] ელპიდოფორე (ლამბრინიადისი), მიტრ. Primus sine paribus. პასუხი მოსკოვის საპატრიარქოს პოზიციაზე მსოფლიო ეკლესიაში პირველობის საკითხთან დაკავშირებით.

[13] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის გამოსვლა სემინარზე „ეკლესიებისა და რელიგიური თემების რეაქცია ომსა და კონფლიქტებზე“. ვილნიუსი, 2023 წლის 22 მარტი

[14] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის შესავალი სიტყვა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერარქთა კრებაზე 2018 წლის 1 სექტემბერს.

[15] იქვე.

[16] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის სიტყვა თქმული მწუხრზე კიევის წმინდა ანდრიას ეკლესიაში, 2021 წლის 21 აგვისტოს.

[17] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის წერილი ალბანეთის უნეტარესი მთავარეპისკოპოსის ანასტასისადმი, დათარიღებული 2019 წლის 20 თებერვლით.

[18] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის სიტყვა კიევ-მოგილას აკადემიის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების ცერემონიაზე, 2021 წლის 22 აგვისტოს.

[19] ციტატა: Jannis Spiteris. La Critica Bizantina del Primato Romano nel secolo XII. Roma, 1979 (Or. Chr. Ap. 208). P. 325-326.

[20] ციტატა: Ἰ. Καρμίρη. Τὰ δογματικὰ καὶ συμβολικὰ μνημεῖα... Graz, 1968. T. II. Σ. 560 (640).

[21] ციტატა: Ἰ. Καρμίρη. Τὰ δογματικὰ καὶ συμβολικὰ μνημεῖα... Σ. 927-930 (1007-1010).

[22] ციტატა: Ἰ. Καρμίρη. Τὰ δογματικὰ καὶ συμβολικὰ μνημεῖα... Σ. 939-940 (1025-1026).

[23] „ადამიანი არ შეიძლება იყოს ქრისტეს ეკლესიის თავი... მოძღვრება ქრისტეს მთელი ეკლესიის უმაღლესი ხილული თავის არსებობის გარდაუვალი აუცილებლობის შესახებ, გაჩნდა უხილავი თავისადმი რწმენის დიდი დაცემის შედეგად; ანუ როცა მოიკლო უფალ იესო ქრისტეს და ეკლესიაში მისი მყოფობისა და მოქმედების რწმენამ, როცა შემცირდა მისდამი სიყვარული“ (გორაზდი პრაღელი, მღვდელმოწამე. 1168 вопросов и ответов о православной вере. 343, 388).

[24] რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის ჟურნალი №60, 23-24 სექტემბერი, 2021 წ.

[25] ციტატა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის 2018 წლის 11 ოქტომბრის განჩინებიდან, ფილარეტ დენისენკოსა და მაკარი მალეტიჩის ზიარებაში მიღების შესახებ.

[26] „თუ რომელიმე კლირიკოსს სამართლებრივი დავა ექნება სხვა კლირიკოსთან, გვერდს ნუ აუვლის თავის ეპისკოპოსს და სამოქალაქო სასამართლოს ნუ მიმართავს. თავდაპირველად თავის ეპისკოპოსთან აწარმოოს საქმე, ან მისი ნებართვით ორივე მხარის მიერ არჩეულმა პირებმა შეადგინონ სასამართლო. ხოლო ვინც ამის საწინააღმდეგოდ მოიქცევა, კანონის ძალით დაისაჯოს; თუ კლირიკოსს თავის, ან სხვა ეპარქიის ეპისკოპოსთან აქვს სამართლებრივი დავა, მაშინ სამთავროს კრებამ გადაწყვიტოს; ხოლო თუ მიტროპოლიტის უკმაყოფილო იქნება ეპისკოპოსი ან კლირიკოსი, მაშინ ან დიდი სამთავროს ეგზარქოსს მიმართოს, ან კონსტანტინეპოლის სამეუფეო საყდარს და მის წინაშე გასამართლდეს“ (IV მსოფლიო კრების მე-9 კან.).

[27] IV მსოფლიო კრების მე-17 კანონის განმარტებიდან. იხ.: ეპისკოპოსი ნიკოდიმოსი (მილაში). მართლმადიდებელი ეკლესიის კანონები განმარტებებით. თბილისი, 2007. ტ.1.

[28] პიდალიონი. IV მსოფლიო კრების მე-9 კანონის განმარტება.

[29] Εγκύκλιος της μιας αγίας καθολικής και αποστολικής εκκλησίας επιστολή προς τους απανταχού ορθοδόξους. Εν Κωνσταντινουπόλει, 1848. (§ 14)

[30] ამავე დროს, განხეთქილების გამო მონანულებმა საჯაროდ მოიხსნეს პანაღიები – იერარქიული ღირსების ნიშნები.

[31] მიუხედავად სოფიის 1998 წლის კრების მნიშვნელობისა, უნდა აღინიშნოს, რომ მისი თავმჯდომარის, პატრიარქ ბართლომეოსის პოზიცია არ გამოირჩეოდა კანონიკური სიწმინდით. თავმჯდომარე იცავდა „იერარქების“ მიღების წესს ზიარებაში „უკიდურეს იკონომიით“, რომლებმაც ქიროტონია განხეთქილებაში მიიღეს წოდებაჩამორთმეული და ეკლესიიდან განკვეთილი პირებისგან, მაშინ როდესაც მონაწილეთა უმრავლესობა მხარს უჭერდა მათ მიღებას კანონიკური ხელთდასხმის გზით. ეს პოზიცია ასახულია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განსაკუთრებულ მოსაზრებაში სოფიაში ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღვართა და იერარქთა კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით.

[32] იხ. სარდიკიის კრების მე-5 კანონი.

[33] სარდიკიის კრების მე-14 კანონი: „სანამ გულმოდგინედ და მართებულად არ იქნება გამოძიებული ყველა გარემოება, საქმის განხილვამდე თანაზიარებიდან განყენებულმა არ უნდა მიითვისოს ზიარება“. კართაგენის კრების 29 (38) კანონი: „სათნოა მთელი კრებისთვის, რომ თავისი დაუდევრობის გამო ზიარებისაგან განყენებული ეპისკოპოსი ან ნებისმიერი სხვა კლერიკოსი, რომელიც თავისი ამ განყენების განმავლობაში, მისი გამართლების მოსმენის უწინარეს, გაკადნიერდება და ზიარებას მიეახლება, აღიარებულ იქნეს საკუთარი თავის მიმართ განკითხვის განაჩენის წარმომთქმელად“ და სხვ.

[34] ანტიოქიის კრების მე-15 კანონი: „თუ რომელიმე ეპისკოპოსი, დადანაშაულებული რაღაც ქმედებებში, განისჯება იმ სამთავროს ყველა ეპისკოპოსის მიერ, და ყველა ისინი თანახმიერად გამოუტანენ მას ერთ სასჯელს, – ესევითარს, დაე, ნუ განსჯიან სხვა ეპისკოპოსები, არამედ მტკიცე იყოს სამთავროს ეპისკოპოსთა ერთაზროვანი გადაწყვეტილება“. კართაგენის კრების 105-ე (118) კანონი: „თუკი ვინმე, საეკლესიო ზიარებიდან განყენებული... გაიპარება ზღვისიქითა ქვეყნებში, რათა მიღებულ იქნეს იქ ეკლესიასთან ერთობაში, ესევითარი, დაე, სამღვდელო დასისგან განიკვეთოს“. კართაგენის კრების კანონიკური ეპისტოლე რომის პაპ კელესტინეს მიმართ: „ვინც თავიანთ ეპარქიებში განყენებულნი არიან ზიარებიდან, დაე, ნუ იქნებიან შეწყნარებულნი თანაზიარებაში შენი სიწმინდის მიერ.... რა

საქმეებიც არ უნდა იყოს, ისინი თავის ადგილებზე უნდა დასრულდეს“.

[35]კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის წერილი მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილესადმი. - № 1119, 24 დეკემბერი, 2018 წ.

[36] კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის გენერალური სამდივნოს 2023 წლის 17 თებერვლის კომუნიკე ლიტვის სასულიერო პირების აპელაციასთან დაკავშირებით.

[37] 2023 წლის 28 ივნისით დათარიღებული კომუნიკე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის მუშაობასთან დაკავშირებით.

[38] გარდაიცვალა 2022 წელს.

[39] სერბეთის პატრიარქი პორფირი. მიმართვა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორთან დაკავშირებით. - 28 მარტი, 2023 წ.

[40] პოლონეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა წმინდა სინოდის კანცელარიის შეტყობინება - 2 აპრილი, 2019 წ.

[41] რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომების ჟურნალები: 2019 წლის 17 ოქტომბრის – № 125; 2019 წლის 26 დეკემბრის – № 151; 2020 წლის 20 ნოემბრის – № 77.

[42] ეს ყოფილი სასულიერო პირები, რომლებსაც წოდება ჩამორთმეული ჰქონდათ საეკლესიო სასამართლოთი, წინასწარ იქნენ წოდებაში „აღდგენილნი“ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდის მიერ. (იხ. ზემოთ, თავ. 2).

[43] იხ. მოციქულთა მე-12, მე-15, 32-ე, 33-ე კანონები; პირველი მსოფლიო კრების – მე-15 და მე-16; IV მსოფლიო კრების – მე-5, მე-6, მე-10, მე-11, მე-13, მე-20, 23-ე; ტრულის კრების – მე-17 და მე-18; VII მსოფლიო კრების – მე-10; ანტიოქიის კრების – მე-3 და მე-6; კართაგენის კრების – მე-20, 23-ე (32), 105-ე (118), 106-ე (119–120).

[44] Правила святых Вселенских Соборов с толкованиями. М.: «Сибирская благозвонница», 2011. С. 665–666.

[45] იხ. ზემოთ, თავ. 2.

[46] Правила святых Вселенских Соборов с толкованиями. С. 341.

[47] „კვიპროსის ეკლესიის მღვდელმთავრებს, ყოველგვარი შევიწროების გარეშე უნდა შეუნარჩუნდეს წმინდა მამათაკანონებისამებრ და ძველი ჩვეულების თანახმად იმის უფლება, რომ თავად აწარმოონ კეთილკრძალულ ეპისკოპოსთა ხელთდასხმა“ (III მსოფლიო კრების მე-8 კანონი).

[48] კონსტანტინოპოლის კრებამ 1593 წელს დაადგინა, რომ რუსეთის ეკლესიის წინამძღვარი „იყოს და ეწოდოს მართლმადიდებელი პატრიარქების ძმა, მისი სახელწოდების ძალით, თანამოხარისხე და თანამოსაყდრე და თანასწორი წოდებითა და ღირსებით. მართლმადიდებელი პატრიარქების ჩვეულებისაებრ დაიწეროს და ხელმოწერილი იყოს: „პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებისა“ (კონსტანტინოპოლის კრების ოქმები, 1593 წ.). **[49]** კონსტანტინოპოლის პატრიარქის, ათენაგორას წერილი რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო საყდრის ადგილმონაცვლის, კრუტიცკისა და კოლომნის მიტროპოლიტ პიმენისადმი. - № 583, 24 ივნისი, 1970 წ.

[50] პრუსიის მიტროპოლიტ ელპიდოფორეს (ლამბრინიადისი) ინტერვიუ ათენ-მაკედონიის საინფორმაციო სააგენტოსთან, 2018 წლის ივლისი.

[51] შდრ. სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის 1879 წლის ტომოსი: „ამიერიდან სერბეთის მართლმადიდებლური ეკლესია იყოს კანონიკურად თვითმდგარი, დამოუკიდებელი და თვითმმართველი, რომლის თავიც, ისევე როგორც ყველა მართლმადიდებელი ეკლესიისა, არის ღმერთკაცი უფალი და მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე“.

[52] ტომოსის ეს დებულება გააკრიტიკეს ალბანეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სამდივნოს 2022 წლის 15 ნოემბრის განცხადებაში. ალბანეთის ეკლესიის დოკუმენტში ნათქვამია, რომ მისთვის ბოძებული ტომოსი არ შეიცავს თეზისს მსოფლიო ტახტის მეთაურად აღიარების შესახებ, ხოლო თავად ალბანეთის ეკლესია წოდებულია „დად“, მაშინ როდესაც ПЦУ ტომოსში წოდებულია „ასულად“. ბულგარეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქი ამასთან დაკავშირებით წერს: „აქ არ იგულისხმება კონსტანტინოპოლის პატრიარქის რაღაც სიმბოლური პირველობა ან პირველობა თანასწორთა შორის. ტომოსში პირველობის საკითხი უკავშირდება კონსტანტინოპოლის წინამძღვრის გამორჩეულ უფლებამოსილებებს მთელს მართლმადიდებელ ეკლესიაზე... ტომოსის პირობების მეშვეობით საქმე გვაქვს მცდელობასთან, რომ ზოგადმართლმადიდებლური კანონიკური ძალა მიეცეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ანტიკანონიკურ ქმედებებს უკრაინის საკითხში და ზესასაზღვრო იურისდიქციის

გამოცხადებულ უფლებამოსილებებს ადგილობრივი ავტოკეფალიური ეკლესიების კანონიკურ ტერიტორიაზე“ (Даниил, митрополит Видинский. За единство Церкви. М.: Познание, 2021. С. 25, 38).

[53] „სამწუხაროდ, უკრაინის ავტოკეფალიის შემთხვევაში, მსოფლიო პატრიარქი უარს ამბობს თავის ტრადიციულად აღიარებულ კოორდინატორულ როლზე, რომელიც გულისხმობს ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების საკრებო გადაწყვეტილებების გამოხატვასა და განხორციელებას. ამიტომ უარზეა, მოიწვიოს ყოვლადმართლმადიდებლური კრება ან წინამძღვართა კრება. პირიქით, ის როგორც პაპი: 1) ახორციელებს ტრანსასაზღვრო ზემოქმედებას სხვისი იურისდიქციის ტერიტორიაზე, რომელიც რუსეთის ეკლესიას ექვემდებარება, როგორც თავად აღიარებდა ბოლო დრომდე; 2) იღებს სუვერენულ და დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს არა მხოლოდ თვით უკრაინის ეკლესიის, არამედ ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიების აზრის საწინააღმდეგოდაც; 3) აცხადებს, რომ დანარჩენი მართლმადიდებელი ეპისკოპოსები მთელს მსოფლიოში ვალდებულნი არიან მიიღონ მისი ნებისმიერი გადაწყვეტილება; 4) თვლის, რომ მის გადაწყვეტილებას სხვა ეკლესიების მხრიდან მოწონება და დამტკიცება არ სჭირდება, რომ ის სადავო საგანი ვერ იქნება“ (ელადის ეკლესიის მღვდლების, მონოზვნებისა და ერისკაცების ღია წერილიდან, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წლის სექტემბერში). „სახეზეა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს სურვილი... მიიკუთვნოს უფლებამოსილებები, რომლებიც არასოდეს მინიჭებია მართლმადიდებელი ეკლესიის არცერთ ეპისკოპოსს. სამწუხაროდ, ეს გვაგონებს რომის ეპისკოპოსის მხრიდან ეკლესიაში ხელისუფლების უზურპაციის სავალალო მცდელობებს. ყველამ იცის, რა გამოიწვია ამან“ (Даниил, митрополит Видинский. За единство Церкви. С. 27).

[54] კიკოსისა და ტილირიის მიტროპოლიტ ნიკიფორეს გამოთქმა მისი მოხსენებიდან მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე, 2021 წლის 16 სექტემბერს. იხ: Мировое Православие: первенство и соборность в свете православного вероучения. М: Познание, 2023. С. 268.

[55] „თუ ვინმემ... მოაქცია რომელიმე ადგილი კათოლიკე ერთიანობისაკენ და შემდეგ სამი წლის განმავლობაში თავის მმართველობაში ეპყრა, და არავის მოუთხოვია იგი მისთვის, მაშინ, ამის შემდეგ, დაე, ნუ ჩამოერთმევა მას ეს ადგილი, თუკი, ამასთან, ამ სამი წლის განმავლობაში არსებობდა ეპისკოპოსი, რომელიც მოვალე იყო მოეთხოვა, მაგრამ დუმდა“.

[56] „თითოეულ ეპარქიაში... არსებული სამრევლოები უცვლელად უნდა დარჩნენ მათი მმართველი ეპისკოპოსების ხელისუფლების ქვეშ, მით უფრო, თუ ისინი ოცდაათი წლის მანძილზე დავის გარეშე წინამძღვრობდნენ და მართავდნენ აღნიშნულ სამრევლოებს“

[57] კონსტანტინოპოლის პატრიარქის, მელეტი IV-ის ტომოსი // Православие в Эстонии. Исследования и документы. М.: Православная энциклопедия, 2010. Т. 2. С. 42-45.

[58] კონსტანტინოპოლის პატრიარქ დიმიტრისა და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმიდა სინოდის 1978 წლის 3 აპრილის ოქმი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის, მელეტი IV-ის 1923 წლის ტომოსის

მოქმედების შეწყვეტის შესახებ // Православие в Эстонии. С. 207-208; კონსტანტინოპოლის პატრიარქ დიმიტრის ეპისტოლე შვედეთისა და სრულიად სკანდინავიის მიტროპოლიტ პავლეს მიმართ, 1978 წლის 3 მაისით დათარიღებული // Православие в Эстонии. С. 207-208.

[59] კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს საპატრიარქო და სინოდალური ოქმი 1923 წლის საპატრიარქო და სინოდალური ტომოსის განახლების შესახებ მართლმადიდებელი ესტონეთის სამიტროპოლიტოსთან დაკავშირებით // Православие в Эстонии. С. 314-317.

[60] იხ.: Никифор, митрополит Киккский и Тиллирийский. Современный украинский вопрос и его разрешение согласно божественным и священным канонам. М.: Познание, 2021. С. 32. აქვე მოყვანილია მრავალი მოწმობა ასეთი აღიარებისა კონსტანტინოპოლის ეკლესიის მხრიდანაც (С. 32–42).

[61] „იგივე წესი უნდა იყოს დაცული ყველა სხვა სამთავროსა და ეპარქიაში. ამდენად, ღვთისსათნომყოფელ ეპისკოპოსთაგან არავინ გაავრცელოს თავისი ხელისუფლება იმ ეპარქიაზე, რომელიც მანამდე არც მას და არც მის წინამორბედ ეპისკოპოსს არ ექვემდებარებოდა... ნურავინ გადავა მამათა მიერ დაწესებულ კანონებს, რათა არ შემოიპაროს თითქოსდა ღვთისმოსაობის სახით, საერო ქედმაღლობის ქედმაღლობა; ნუ დავკარგავთ ნელ-ნელა და შეუმჩნევლად იმ თავისუფლებას, რომელიც თავისი სისხლით ყოველი კაცის მხსნელმა უფალმა ჩვენმა იესუ ქრისტემ მოგვმადლა“.

[62] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის წერილიდან ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტ ქრისტეფორესადმი. – № 102, 4 თებერვალი, 2012 წ. (წერილის საბაბი იყო პრაღაში ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის 60 წლის იუბილის აღნიშვნა): „ანალოგიური ღონისძიებების განმეორების შემთხვევაში, – როცა იდღესასწაულება გაუქმებულად ჩათვლილი და თავსმოხვეულად აღიარებული ავტოკეფალია ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის ეკლესიისთვის მოსკოვის საპატრიარქოს მხრიდან, – მსოფლიო საპატრიარქო სინანულით იძულებული გახდება, გააუქმოს თქვენი ეკლესიისთვის თოთხმეტი წლის წინ მინიჭებული კანონიკური ავტოკეფალია და დაუბრუნოს ჩეხეთის მიწებისა და სლოვაკეთის ეკლესიას ავტონომიური ეკლესიის სტატუსი, რომელიც ჰქონდა მას ამ კანონიკურ აქტამდე, ამოშალოს მართლმადიდებელი ავტოკეფალიური ეკლესიების წმინდა დიპტიქებიდან, სადაც ის მეთოთხმეტე ადგილს იკავებს, და ამ აქტის შესახებ აცნობოს ყველა მართლმადიდებელ და-ეკლესიას“.

[63] Anastassiadis A. Un «Vatican anglicano-orthodoxe» a Constantinople?: Relations interconfessionnelles, rêves impériaux et enjeux de pouvoir en Méditerranée orientale a la fin de la Grande Guerre // Voisinages fragiles: Les relations interconfessionnelles dans le Sud-Est européen et la Méditerrannée orientale 1854-1923: Contraintes locales et enjeux internationaux / Éd. A. Anastassiadis. Athènes, 2013. P. 283-302.

[64] Ἐκκλησιαστικὴ Ἀλήθεια. 1922. Σ. 130.

[65] კერძოდ, 1993 წელს, როდესაც იერუსალიმის საპატრიარქომ გადაწყვიტა ავსტრალიაში ადრე არსებული ეპარქიის აღდგენა და იქ ეგზარქოსი დანიშნა, ამ გადაწყვეტილებამ უკიდურესად მწვავე რეაქცია გამოიწვია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხრიდან: კონსტანტინოპოლის ეკლესიის სინოდის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც 1993 წლის 30-31 ივლისს სტამბოლში გაიმართა ალექსანდრიისა და ელადისა ეკლესიების წინამძღვრების და, ასევე, კვიპროსის ეკლესიის წარმომადგენლების მონაწილეობით, იერუსალიმის საპატრიარქოს ორ ეპისკოპოსი წმინდა ხარისხიდან განიკვეთა, ხოლო იერუსალიმის პატრიარქი დიოდორე გასამართლდა წმინდა კანონების „მკრეხელური დარღვევისთვის“, ბერძენი ხალხის ცდუნებისა და გაყოფისთვის. შეწყდა მისი მოხსენიება კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქებში, მაგრამ „წყალობითა და კაცთმოყვარეობით“ მას მიეცა დრო მონანიებისთვის და თავისი გადაწყვეტილების გასაუქმებლად, რომელიც ითვალისწინებდა ავსტრალიაში იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციის შექმნას. წინააღმდეგ შემთხვევაში მას წოდებიდან განკვეთა ემუქრებოდა. შექმნილ პირობებში პატრიარქი დიოდორე იძულებული გახდა, უარი ეთქვა საეგზარქოსოს ორგანიზებაზე ავსტრალიაში და დიასპორის სხვა ქვეყნებში, რის შემდეგაც განახლდა მისი მოხსენიება კონსტანტინოპოლის ეკლესიის დიპტიქებში და წოდებიდან განკვეთილი ეპისკოპოსები თავიანთ ხარისხებში აღადგინეს. იხ.: კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესია // Православная энциклопедия. М., 2015. Т. 37. С. 289.

[66] ასეთი ლოგიკა გამოიყენა კონსტანტინოპოლმა, კერძოდ, სერგიევის ყოფილი ეპისკოპოსის ვასილის (ოსბორნი) გადასვლისას, როცა იგი 2006 წელს მიიღეს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის განტევების სიგელის გარეშე (2010 წ. კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს წმინდა სინოდმა ეპისკოპოს ვასილის ხარისხი აჰყარა და მონაზვნობა გაუუქმა დაქორწინების გადაწყვეტილებასთანნ დაკავშირებით).

[67] მოსკოვის საპატრიარქო ტახტის ადგილმონაცვლის, მიტროპოლიტ პიმენის წერილი კონსტანტინოპოლის პატრიარქ ათენაგორასადმი. - № 85, 14 იანვარი, 1971 წ.

[68] რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის 2008 წლის 15 აპრილის განცხადება.

[69] IV მართლმადიდებლური წინასაკრებო თათბირის დოკუმენტი: „მართლმადიდებლური დიასპორა. გამოსავალი“, შამბეზი, 2009 წ.

[70] რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქების მონაწილეობა ამ კრებებში შეწყდა წმინდა სინოდის განცხადების შესაბამისად, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უკანონო შეჭრასთან დაკავშირებით რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე. განხადება თარიღდება 2018 წლის 14 სექტემბრით.

[71] კონსტანტინოპოლის პატრიარქ ბართლომეოსის ინტერვიუ გაზეთ „Этникос Кирикс“-თან, 13 ნოემბერი, 2020 წ.

[72] იქვე.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/90540/